პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 9 (5409) ოთხშაბათი, 11 იანვარი 1939 წ. ფასი 10 კაპ.

მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერა უნდა ჩატარდეს ორგანიზებულად ისე, რომ არ იყოს არცერთი გამოტოვება, არ იყოს შეცდომები. უნდა მოგვცეს სსრ კავშირის მოსახლეობის რაოდენობისა და შემადგენლობის სრული და ზუსტი სურათი.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 8 იანვრის მიმართვიდან

მთავარია დამოუკიდებლად სწავლა

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის ისტორიულ დადგენილებაში გარკვევით მიუთითა, რომ „კადრებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლების ძირითად მეთოდს უნდა წარმოადგენდეს ბოლშევიკების უფროსი თაობის გამოცდილებაზე შემოწმებული მეთოდი ბოლშევიკური პარტიის ისტორიისა და თეორიის დამოუკიდებელი შესწავლისა“, რომ ბოლშევიზმის შესწავლის ძირითად საშუალებას წარმოადგენს დამოუკიდებელი კითხვა, თავის თავზე დამოუკიდებლად მუშაობა.

წრეებში იძულებით ჩაბმის პრაქტიკამ, რაოდენობისადმი გამოდევნებამ, წიგნზე მუშაობისადმი ბიუროკრატიულმა „კონტროლის გაწევამ“ კომუნისტებს შეურყია რწმენა იმისა, რომ მათ დამოუკიდებლად შეუძლიათ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის დაუფლება. პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის 14 ნოემბრის დადგენილებაში გადაჭრით მოითხოვს პარტიული ორგანიზაციებისაგან ისე გარდაჰქმნან პროპაგანდისტული მუშაობა, რომ სავსებით „აღუდგინონ კომუნისტებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისათვის თავისი ძალისა და უნარის რწმენა“.

დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის სტალინური სახელმძღვანელოს გამოსვლას. პარტიულმა ორგანიზაციებმა განიხილეს პარტიული აქტივის, საბჭოთა ინტელიგენციის, პირველადი და კომკავშირული ორგანიზაციების ღია კრებებზე საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება და მის შესაბამისად შეუდგნენ პროპაგანდისტული მუშაობის გარდაქმნას. ჩვენი კადრები, საბჭოთა ინტელიგენცია გულმოდგინედ შეუდგა ბოლშევიკური პარტიის სახელოვანი ისტორიის შესწავლას.

პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს იმ ამხანაგების დასახმარებლად, რომელნიც დამოუკიდებლად სწავლობენ პარტიის ისტორიას; სისტემატურად იკითხება ლექციები და თეორიული მოხსენებები პარტიული განათლების სახლებსა და პარტკაბინეტებში, ეწყობა კონსულტაციები, ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება თეორიული ხასიათის წერილები. პარტორგანიზაციებმა ბოლშევიკურად გააჩაღეს მუშაობა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ისტორიული გადაწყვეტილების განსახორციელებლად.

მაგრამ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა და ცალკე კომუნისტმა სათანადოდ ვერ გაიგო ცენტრალური კომიტეტის დადგენილების აზრი. ისინი ცდილობენ „კონტროლი გაუწიონ“ კომუნისტთა დამოუკიდებლად მეცადინეობას. მაგალითად, საქართველოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებული პარტორგანიზაციის პარტკომის მდივანი ამხ. ელენტი კომუნისტებისაგან მოითხოვს ანგარიშის ჩაბარებას, თუ რა წაიკითხეს მათ, ცდილობს დააწესოს მეურვეობა კომუნისტების მიმართ, შემოიღოს რაღაც გამოცდების მსგავსი; ამ პარტორგანიზაციის წევრებმა ძლივს დაარწმუნეს ამხ. ელენტი, რომ ასეთი „მეურვეობა“ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების უხეში დამახინჯებაა.

ზოგიერთ პარტორგანიზაციათა ხელმძღვანელი ჯერ კიდევ იმყოფება მუშაობის ძველებური ჩვევების ტყვეობაში, ის კვლავ ცდილობს რაც შეიძლება მეტი ხალხი ჩააბას წრეებში. მაგალითად, განსახკომის პარტკომის მდივანმა ამხ. კიკვაძემ გულდასმით არ განუმარტა კომუნისტებს, რომ ბოლშევიზმის დაუფლების მთავარი საშუალებაა დამოუკიდებელი სწავლა, და შეუდგა მსმენელთა ხელაღებით „ჩაბმას“ წრეებში.

ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციებში კი მეორე სახის დამახინჯებას აქვს ადგილი: ხელაღებით უარყვეს წრეში მეცადინეობა. მაგალითად, სამტრედიის რაიონის აბრეშუმძაფსახვევ ფაბრიკაში წრეში მეცადინეობა ხელაღებით დაჰგმეს როგორც „დახავსებული“ მეთოდი.

ამჟამად განსაკუთრებით გაიზარდა პარტიული კაბინეტების როლი. მათ უდიდესი დახმარება უნდა გაუწიონ ჩვენს კადრებს, საბჭოთა ინტელიგენციას მარქსიზმ - ლენინიზმის თეორიის შესწავლის საქმეში. პარტიული კაბინეტები უნდა გადაიქცნენ ბოლშევიზმის დაუფლებისათვის ბრძოლის ცენტრებად. იქ სისტემატურად უნდა ეწყობოდეს მოხსენებები პარტიის ისტორიის ცალკე თემებზე; იკითხებოდეს ლექციები, სისტემატურად ტარდებოდეს კონსულტაციები; კონსულტანტმა სრული, ამომწურავი პასუხი უნდა გასცეს ყველა იმ კითხვებს, რომლებიც წამოეჭრებათ ამხანაგებს პარტისტორიის დამოუკიდებლად შესწავლის დროს.

ზოგიერთი პარტკაბინეტის მუშაობა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს ამ გაზრდილ ამოცანებს. მაგალითად, ლანჩხუთის პარტრაიკომთან არსებულ პარტკაბინეტში უკანასკნელ დრომდე არ ჩაუტარებიათ ლექცია, მოხსენება ან კონსულტაცია. ეს პარტკაბინეტი საღამოობით სრულიად დაკეტილია. ასევე იშვიათად ეწყობა ლექციები და კონსულტაციები საქ. კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომთან არსებულ პარტკაბინეტში; აქ საკმაო რაოდენობით არ მოეპოვებათ მარქსიზმის კლასიკოსთა შრომები. ამიტომაც ამ პარტკაბინეტში იშვიათად თუ ვისმე ნახავთ. სუსტად მუშაობს აგრეთვე ონის რაიპარტკომთან არსებული პარტკაბინეტი. პარტიის ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთ აქაც ნაკლებად ეხმარებიან, არ შეურჩევიათ ლიტერატურა პარტისტორიის სახელმძღვანელოს მიხედვით და სხვ. კიდევ უფრო ცუდად მუშაობს საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომთან არსებული პარტკაბინეტი.

ვერც საქ. კ. პ. (ბ) ფოთის ქალაქკომის პარტგანათლების სახლი მუშაობს რიგიანად. აქ საკმაო ლიტერატურა ჯერაც არ შეუძენიათ. გარდა ამისა, აღსანიშნავია კონსულტანტებად გამოყოფილ ამხანაგთა უპასუხისმგებლობა; ისინი დეკემბრის დამლევამდე არ შესდგომიან მუშაობას.

პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზულად უნდა იზრუნონ იმ ამხანაგებზეც, რომელთაც ირჩიეს პარტიის ისტორიის შესწავლა წრეში. ამ საქმეში მთავარია სათანადოდ მომზადებული პროპაგანდისტების შერჩევა. პარტიულმა კომიტეტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ პარტისტორიის შემსწავლელი წრეებისათვის მაღალკვალიფიციური პროპაგანდისტების გამონახვას და მოამზადონ პირობები წრეების ნაყოფიერი მუშაობისათვის.

ამ დღეებში წარმატებით ჩატარდა თბილისში რამოდენიმე საჯარო ფასიანი ლექცია. საჭიროა ასეთი ლექციები უფრო ხშირად მოეწყოს არამარტო დედაქალაქში, არამედ საოლქო, საქალაქო და სარაიონო ცენტრებშიაც.

პარტიულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო უნდა გააჩაღონ ბრძოლა პარტიული პროპაგანდის გარდაქმნისათვის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, გადაჭრით გააუმჯობესონ პარტიული კაბინეტების მუშაობა, სრულიად აღმოფხვრან წვრილმანი მეურვეობა და „კონტროლი“ და ნამდვილი დახმარება გაუწიონ ბოლშევიკურ კადრებს, საბჭოთა ინტელიგენციას ბოლშევიზმის დიადი მოძღვრების ღრმად დაუფლების საქმეში.

შრომის წიგნაკების შევსების შესახებ

შემოსულ შეკითხვებთან დაკავშირებით პროფესიული კავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ შემდეგი განმარტება მისცა შრომის წიგნაკების შევსებასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებზე:

1. იმ პირთათვის, რომელთაც დაამთავრეს შვიდწლიანი საშუალო სკოლა, მუშფაკი, უმაღლესი სასწავლებლისათვის მოსამზადებელი კურსები, სვეტში „განათლება“ აღინიშნება — საშუალო.

2. იმ პირთა მიმართ, რომელთაც დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება აქვთ, სვეტში „განათლება“ იწერება — დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება.

3. წითელ არმიაში სამსახური განყოფილებაში „ცნობები მუშაობის შესახებ“ აღინიშნება ცალკე სტრიქონად: „მსახურობდა წითელ არმიაში ამდენ და ამდენ წელს“. (საკდესი).

ვ. პ. ჩკალოვის ხსოვნის უკვდავსაყოფად

გორკი, 8 იანვარი (საკდესი). გორკის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა და საქ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის ბიურომ დაადგინეს: განახორციელონ მთელი რიგი ღონისძიებანი საბჭოთა კავშირის გმირის ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

იმ პატარა სახლში, სადაც ვალერი პავლეს-ძე დაიბადა და იზრდებოდა, ეწყობა მუზეუმი. იქ წარმოდგენილი იქნება დოკუმენტები და მასალა ჩკალოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. გადაწყვეტილია, დაბა ჩკალოვსკში დაიდგას დიდი პილოტის ძეგლი. გორკის ფიზიკური კულტურის ტექნიკუმს მიეკუთვნება ჩკალოვის სახელი. დაწესდება ჩკალოვის სახელობის სამი სტიპენდია სწავლის ფრიადოსნებისათვის, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში შევლენ ჩკალოვის რაიონიდან.

ინგლის-იტალიის მოლაპარაკების წინ

პარიზი, 9 იანვარი (საკდესი). პარიზში მეტად აფიქრებთ იმ საუბრის პერსპექტივა, რაც მოხდება ხვალ, ერთი მხრით, საფრანგეთის პოლიტიკოსებსა და, მეორე მხრით, ჩემბერლენსა და ჰალიფაქსს შორის, რომელნიც საფრანგეთის დედაქალაქში ჩამოდიან რომში მიმავალნი.

საფრანგეთის საზოგადო მოღვაწეები დალადიესაგან და მთავრობისაგან მოითხოვენ, რათა მათ სიმტკიცე გამოიჩინონ იტალიის პრეტენზიების მიმართ და ნათელი პოზიცია დაიკავონ ჩემბერლენთან და ჰალიფაქსთან ხვალინდელი თათბირის დროს, მაგრამ მთავრობასთან და საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ახლო მდგომ წრეებში სჩანს მიდრეკილება იტალიის მიმართ დათმობებისადმი. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია დღევანდელი მოწინავე სტატია, მოთავსებული გაზეთ „ომ ლიბრში“, რომელიც ამ უკანასკნელ დროს საგარეო საქმეთა ახლანდელ მინისტრ ბონესთან დაახლოებულ ორგანოდ ხდება „საფრანგეთის მთავრობის მეთაური და საგარეო საქმეთა მინისტრი, — ნათქვამია მოწინავე სტატიაში, — ხვალ დასჯერდებიან განცხადებას, რომ მათ იტალიისაგან დღემდე არავითარი ოფიციალური მოთხოვნა არ მიუღიათ. ისინი განაცხადებენ, რომ თუ იტალიას სურს რაიმე მოითხოვოს, მან უნდა ჩამოაყალიბოს თავისი მოთხოვნები, და მაშინ ეს მოთხოვნები განხილული იქნება“.

„რაც უნდა იყოს, — ნათქვამია შემდეგ სტატიაში, — შესაძლებელია ზოგიერთი ცვლილება ვითარებაში. იტალიას რომ ესაჭიროება თავისუფალი ნავსადგური ჯიბუტში, ამას არავინ უარჰყოფს, მაგრამ თავისი საჭიროებანი მან ნორმალური გზით უნდა გვაცნობოს“.

პოლონეთის პრესა ბეკისა და ჰიტლერის მოლაპარაკების შესახებ

ვარშავა, 9 იანვარი (საკდესი). პოლონეთის პრესის გამოხმაურება ბეკისა და ჰიტლერის იმ მოლაპარაკების გამო, რომელიც ბერხტესგადენში სწარმოებს, ზოგად და ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო ხასიათს ატარებს.

„გაზეტა პოლსკას“ ბერლინელი კორესპონდენტი, ემყარება რა სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობებს, სწერს, რომ „ბერხტესგადენში ბეკმა და ჰიტლერმა განახორციელეს საერთაშორისო პოლიტიკის საკითხების ფართო მიმოხილვა, ამასთან საუბარი გულწრფელობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა“. ცდილობს რა დაამშვიდოს პოლონეთის საზოგადოებრივი აზრი, კორესპონდენტი სწერს, რომ ბეკისა და ჰიტლერის საუბარში „დადასტურება ვერ ჰპოვეს გადაჭარბებულმა ხმებმა აღმოსავლეთ ევროპაში გერმანიის ზრახვების შესახებ, რომლებსაც უკანასკნელ დროს სხვადასხვა წრეები ავრცელებენ. ორივე მთავრობა ფიქრობს, რომ ჩეხოსლოვაკიის კრიზისის შემდეგ შექმნილმა ახალმა მდგომარეობამ არ უნდა მოახდინოს გავლენა კეთილმეზობლურ ურთიერთობათა ნორმალურ განვითარებაზე“.

პოლონეთის მთელი რიგი გაზეთები დღეს ათავსებენ უცხოეთის პრესის დეპეშებს, სადაც აღნიშნულია, რომ ბერხტესგადენში მომხდარ შეხვედრას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და რომ სრულ ძალაში რჩება პოლონეთ - გერმანიის თავდაუსხმელობის 1934 წლის პაქტი.

რუზველტის გამოსვლა

ვაშინგტონი, 9 იანვარი (საკდესი). დემოკრატიული პარტიის მიერ მოწვეულ მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა რუზველტმა, რომელმაც მოუწოდა ყველა დემოკრატს — აქტიურად დაუჭირონ მხარი მის პოლიტიკას. რუზველტმა იმ რეაქციულ დემოკრატებს, რომელნიც მის წინააღმდეგ გამოდიან, თავის სიტყვაში წინადადება მისცა დასტოვონ დემოკრატიული პარტია და შევიდნენ რესპუბლიკურ პარტიაში.

უკანასკნელი ცნობები

რესპუბლიკელთა შეტევა ესტრემადურის ფრონტზე

პარიზი, 10 იანვარი (საკდესი). ესპანის სააგენტოს კორესპონდენტი დაწვრილებითი ცნობებს გადმოგვცემს ცენტრალური ფრონტის ესტრემადურის უბანში არსებული მდგომარეობის შესახებ. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკელთა ჯარის მიერ დაპყრობილი რაიონის რეორგანიზაცია კვლავ გრძელდება მეამბოხეთა და ინტერვენტთა ბრჭყალებიდან განთავისუფლებული მოსახლეობის აქტიური თანამშრომლობით. ბრძოლით წართმეულ რაიონებში არსებული ქვანახშირის შახტების მეტ ნაწილში მუშაობა უკვე განახლებულია.

ამავე დროს რესპუბლიკელთა ჯარის შეტევა ესტრემადურის უბანში კვლავ ვითარდება. ამ შეტევის წარმატებამ გადააჭარბა უაღრესად ოპტიმისტურ მოლოდინს. 700 კვადრატულ კილომეტრზე მეტი ტერიტორია გასწმინდა რესპუბლიკელთა ჯარმა მეამბოხეთა და ინტერვენტთა ჯარისაგან.

შეტევის მეხუთე დღის განმავლობაში რესპუბლიკელთა ჯარი უტევდა სამი მიმართულებით: მონტერუბიო დე ლა სერენასაკენ — ჩრდილოეთით, პენიაროია - ბელმესისაკენ — სამხრეთ - აღმოსავლეთით და, დასასრულ, ფუენტე ოვეხუნა-საფრას რკინიგზის გასწვრივ— სამხრეთ-დასავლეთით.

მონტერუბიო დე ლა სერენას სექტორში რესპუბლიკელებმა გასტეხეს მეამბოხეთა წინააღმდეგობა, რომელთაც ღამის განმავლობაში დიდძალი დამხმარე ჯარი მიიღეს და ბრძოლით მიიწევენ წინ. ყველა მაღლობი მონტერუბიას სექტორში ამჟამად რესპუბლიკელთა ჯარის ერთეულების ხელშია. რესპუბლიკელთა ჯარის ერთეულები ახლა გაბატონებულია მთელს რაიონზე. რესპუბლიკელთა ჯარს ამჟამად წინ არავითარი ბუნებრივი დაბრკოლება არ ელობება, არც ჩრდილოეთისა და არც ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით.

პენიაროია - ბელმესის სექტორში ყველა გზა და რკინიგზის ხაზები გადაჭრილია რესპუბლიკელთა მიერ.

სუნ ფოს განცხადება

ჩუნცინი, 9 იანვარი (საკდესი) 7 იანვარს ჩინეთის საკანონმდებლო პალატის თავმჯდომარემ სუნ ფომ გამართა სადილი, რომელსაც დაესწრნენ პრესის წარმომადგენლები, მწერლები და კულტურის სხვა მუშაკები.

სუნ ფომ სტუმრებს მიმართა სიტყვით, რომელშიაც შეეხო იაპონიის წინააღმდეგ ჩინეთის ომის პერსპექტივებს. შეადარა რა ჩინეთის ბრძოლა საბჭოთა კავშირის ხალხთა გმირულ ბრძოლას 14 ქვეყნის ინტერვენციის წინააღმდეგ, სუნ ფომ განაცხადა: „საბჭოთა ხალხი სამი წლის განმავლობაში გმირულ ბრძოლას აწარმოებდა 14 ქვეყნის ინტერვენტთა წინააღმდეგ და იგი ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა, წითელი არმია ომის დასაწყისში სულ 100 ათას ხიშტს ითვლიდა, ხოლო ომის დასასრულს მას 5 მილიონზე მეტი მებრძოლი ჰყავდა. ჩინეთს ფრონტზე თავის წინააღმდეგ მხოლოდ ერთი მტერი ჰყავს. ჩინეთის ძალები გაორკეცდა ჩინეთის არმიას ამჟამად თანამედროვე შეიარაღება აქვს, მან დააგროვა საბრძოლო გამოცდილება. თუ ომის დასაწყისში ერთ მოკლულ იაპონელზე 5 მოკლული ჩინელი მოდიოდა, ახლა ერთ მოკლულ ჩინელ ჯარისკაცზე მოდის 3 მოკლული იაპონელი, ხოლო მე-8 სახალხო - რევოლუციური არმიის მოქმედების რაიონში — 13 იაპონელიც. იაპონელთა გეგმები ჩინეთის დაპყრობის შესახებ იფუშება. იაპონია იძულებული გახდა გაედიდებინა ჩინეთში თავისი არმიის შემადგენლობა 300.000 კაციდან მილიონნახევარ კაცამდე. მოწინააღმდეგეს ძალიან დიდი ზარალი მოსდის. ერთი დღის ომი იაპონელებს 20 მილიონი იენი უჯდებათ. ასეთ ხარჯებს ფინანსიური გაკოტრებისაკენ მიჰყავს იაპონია. ჩვენს ამოცანას წარმოადგენს ჩინეთის სრულ განთავისუფლებამდე ვიბრძოლოთ ინტერვენტთა წინააღმდეგ“.

ჩინეთის საზოგადოებრიობა ჰგმობს ვან ძინ-ვეის

ჩუნცინი, 9 იანვარი (საკდესი). ჩინეთის პრესა კვლავ აქვეყნებს სხვადასხვა ორგანიზაციების დეპეშებს, რომლებიც მიესალმებიან ჩან კაიშის და ჰგმობენ გამცემი ვან ძინ-ვეის მოღალატურ საქციელს. გამოქვეყნდა დეპეშა ჩან კაიშისა და ჩინეთის სამხედრო საბჭოს პოლიტიკური განყოფილების უფროსის გენერალ ჯენ-ჩენისა და მე-9 სამხედრო რაიონის მაღალი თანამდებობის 32 ოფიცრის სახელზე. დეპეშაში გამოთქმულია კმაყოფილება იმ გადაწყვეტილების გამო, რომ ვან ძინ-ვეი გარიცხულია გომინდანიდან.

იაპონიის პრესა ვან ძინ-ვეის დეკლარაციის შესახებ

ტოკიო, 9 იანვარი (საკდესი). იაპონიის სააგენტო დომეი ცუსინმა 9 იანვარს კვლავ გადასცა რადიოთი ვან ძინ-ვეის მოღალატური დეკლარაციის შინაარსი. იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი 9 იანვარს გამოვიდა ვან ძინ-ვეის დეკლარაციის კომენტარიებით, რომლებშიაც იგი ყოველნაირად იცავს და ქება-დიდებას ასხამს ამ გაკოტრებულ გამცემს.

საბჭოთა კავშირში

თვალსაჩინო ხელსაწყოთა ალბომი საქ. კ. პ. (ბ) ისტორიაში

ლენინგრადი, 9 იანვარი (საკდესი). პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის ლენინგრადის განყოფილებამ გამოუშვა საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის თვალსაჩინო ხელსაწყოთა 40 ათასი ალბომი პარტკაბინეტებისათვის, სამკითხველოებისათვის, პარტგანათლების სკოლებისა და წრეებისათვის.

ალბომში მოთავსებულია 32 კარტოგრამა. ისინი ნათლად გვიჩვენებენ რევოლუციური მოძრაობის განვითარებას რუსეთში 1904-1907 წლების პერიოდში.

კარტოგრამა - პლაკატი — „ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი 1905-1907 წლების რევოლუციაში“ სოციალისტური რევოლუციის დიდი ბელადების მუშაობის ქრონოლოგიას ასახავს.

მხატვარ ვასილიევის ნახატები „ლენინის გამოსვლა პანინას სახლში 1906 წელს“ და „სტალინის გამოსვლა თბილისში 1905 წელს შემდგარ მიტინგზე“ ამ კარტოგრამის საილუსტრაციო დამატებას წარმოადგენენ.

დონბასმა შეასრულა სადღეღამისო დავალება

სტალინო, 8 იანვარი (საკდესი). დონეცის ბასეინმა წელს პირველად შეასრულა ქვანახშირის ამოღების სადღეღამისო გეგმა. ამოღებულია 235.220 ტონა ქვანახშირი — 100,7 პროცენტი. კომბინატმა „სტალინუგოლმა“ ამოიღო 123.423 ტონა — 101,2 პროცენტი.

გუშინ შესანიშნავად მუშაობდნენ ტრესტები „სტალინუგოლი“, რომელმაც გეგმა 109,3 პროცენტით შეასრულა, და „მაკეევუგოლი“, რომელმაც გეგმა შეასრულა 107,1 პროცენტით. სადღეღამისო დავალება შეასრულა ერთერთმა ჩამორჩენილმა ტრესტმა „ბუდიონოვუგოლმა“.

ამ დღეს სარეკორდო ამოღებას მიაღწიეს ტრესტ „სტალინუგოლის“ № 17-17-ბისის შახტის მაღაროელებმა; მათ ამოიღეს 2.707 ტონა, სადღეღამისო დავალებით კი გათვალისწინებული იყო 2.310 ტონა.

კომბინატ „სტალინუგოლში“ სადღეღამისო დავალება გადაჭარბებით შეასრულა 89 შახტმა.

ყინულმჭრელ „ლაზარ კაგანოვიჩის“ სვლის გამოცდა

ნიკოლაევი, 9 იანვარი (საკდესი). დღეს ნაშუადღევს 4 საათზე ნიკოლაევის სავაჭრო ნავსადგურის გრანიტის სანაპიროსთან დადგა არქტიკული ფლოტის მშვენება — მძლავრი ყინულმჭრელი „ლაზარ კაგანოვიჩი“. მიუხედავად იმისა, რომ შავ ზღვაზე არახელსაყრელი ამინდი და ნისლი იყო, საკონტროლო გამოცდა დამაკმაყოფილებლად ჩატარდა.

ყინულმჭრელზე იყო მთავრობის მიერ გამოყოფილი მიმღები კომისიის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. კრენკელი. ყინულმჭრელის მიღების აქტის ხელმოწერის შემდეგ გემზე აღიმართება ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს ბაირაღი.

ყინულმჭრელი მიიღებს ათას ტონა ქვანახშირს და სურსათ-სანოვაგის ხუთი თვის მარაგს, რის შემდეგ დამატებით ორი ათასი ტონა ქვანახშირის მისაღებად წავა ოდესაში, ხოლო იქიდან ვლადივოსტოკისაკენ გაემართება. ამ გზის გავლა გათვალისწინებულია 42 დღეღამის განმავლობაში.

„1812 წლის სამამულო ომი“

მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში ამ უახლოეს დღეებში იხსნება 1812 წლის სამამულო ომისადმი მიძღვნილი გამოფენა. აქ წარმოდგენილი იქნება რუსეთის ჯარის მიერ ნაპოლეონის არმიისათვის წართმეული ნადავლი: ფრანგული დროშები, მუნდირები, საფრანგეთის მარშლის დავუს კვერთხი და ნაპოლეონის სალაშქრო სამზარეულო. გამოფენაზე ნაჩვენები იქნება იმდროინდელი მშობლიური და უცხოეთის ცივი და სასროლი იარაღი: ხმლები, შუბები, სატევრები, დამბაჩები და თოფები.

მნახველს შეუძლია ნახოს შემდეგი პარტიზანი გლეხების პორტრეტები: ვასილისა კოჟინასი, რომელიც უცხოელ ტყვე ჯარისკაცებს ბადრაგობდა, და გერასიმე კურინისა, რომელიც მოსკოვის გუბერნიის ყოფილი ბოგოროდსკის მაზრის გლეხთა დიდი პარტიზანული რაზმის ერთერთი ორგანიზატორი იყო.

მდიდარი მასალაა მიძღვნილი დიდი რუსი სარდლის მიხეილ ილარიონის-ძე კუტუზოვისადმი. ძვირფასი ექსპონატები ცოცხლად მოგვაგონებენ ომის ცალკეულ ეპიზოდებს და ბოროდინოსთან, კრასნისთან და ბერეზინასთან მომხდარ ბრძოლებს.

გამოფენაზე ფართოდ იქნება წარმოდგენილი რუსი და უცხოელი მხატვრების პორტრეტები, გრავიურები და ნახატები.

ამხ. გრიგოლ ხურციძე

მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მე-11 სტახანოვური ბრიგადის ბრიგადირი. გ. ხურციძის ბრიგადამ წელს ჰექტარზე საშუალოდ 5.500 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მიიღო, რისთვისაც იგი წარდგენილია სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატად.

ფოტო რ. აკოფოვისა

უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვიყოთ ერთგულნი სამშობლოსი, საბჭოთა ხალხისა და ლენინ-სტალინის პარტიისა

მომავალი ლეიტენანტების სიტყვა

თბილისის სამხედრო სასწავლებლის დიდ პლაცზე მეცადინეობის შემდეგ სიჩუმე დამყარდა. წავიდწამოვიდნენ დანაყოფები, დაცალიერდა ვრცელი ეზო. ცოტა ხნის შემდეგ ეზოში, იმ ადგილას, სადაც აღმართულია ტრიბუნის მსგავსი პატარა კოშკი, თავი მოიყარეს კურსანტებმა, წითელარმიელებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა, რათა განეხილათ და თავისი აზრი გამოეთქვათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებების შესახებ, რომლებიც სამხედრო ფიცის ტექსტსა და ამ ფიცის დადების წესს შეეხებიან.

ტრიბუნაზე ერთი-მეორეს სცვლიდნენ კურსანტები, წითელარმიელები, მეთაურები და პოლიტმუშაკები.

— ფიცის დადების დღე — 23 თებერვალი, — ამბობს სამხედრო კომისარი ამხ. მარკოვი, — დაუვიწყარი თარიღი იქნება თვითეული ჩვენგანის ცხოვრებაში. ფიცის დადება გვაკისრებს უფრო მეტი და ახალი მიღწევებით წარვდგეთ ქვეყნისა და სამშობლოს წინაშე, როდესაც ამას ჩვენგან მოითხოვს წმინდათა-წმინდა საბჭოთა საზღვრების დაცვის ინტერესი.

— როცა ჩვენი დედები, მამები, ძმები და დები, როცა ჩვენი ამხანაგები გვაცილებდნენ წითელ არმიაში, — სთქვა კურსანტმა ედელშტეინმა, — მათ მტკიცე ნაკაზი მოგვცეს: იყავით ღირსეული მებრძოლნი წითელი არმიისა, კეთილსინდისიერად იმუშავეთ, ერთგულად ემსახურეთ ჩვენს სამშობლოს, ლენინ-სტალინის დიად პარტიას. ჩვენ შევპირდით, რომ გავამართლებთ მათ იმედებს და არასოდეს არ დავხრით წითელი არმიის სახელოვან დროშას. სამხედრო ფიცის დადებით ერთხელ კიდევ დავუდასტურებთ მთელ ჩვენს ხალხს, რომ მუდმჟამს მზად ვართ სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავის დასადებად.

მხურვალე გრძნობებით სავსე სიტყვები მოისმოდა ტრიბუნიდან. ორატორთა სიტყვები გამთბარი იყო დიდი სიყვარულით ბედნიერი სამშობლოსადმი, დიდი **სტალინისადმი**.

— ჩვენი ამხანაგები და თანამებრძოლები მიდიოდნენ იაპონელი სამურაების გასანადგურებლად და გაიძახოდნენ: „სტალინის სახელით წინ! სიკვდილი მტერს!“ — სთქვა კურსანტმა ამხ. ორლიანსკიმ.

— განვლილი ხუთწლედების მონაპოვართა დაცვა თვითეული ჩვენგანის საპატიო მოვალეობაა, სასახელო საქმეა საბჭოთა სამშობლოს ყოველი პატრიოტისათვის. ფიცი, რომელსაც ჩვენ დავდებთ 23 თებერვალს, კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენში დიდ პასუხისმგებლობას სამშობლოს წინაშე, — სთქვა კურსანტმა ურინევმა.

ასე ლაპარაკობდნენ თბილისის სამხედრო სასწავლებლის კურსანტები, მეთაურები და პოლიტმუშაკები. ყველანი ერთსულოვნად მიესალმებოდნენ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ბრძანებულებების გამოქვეყნებას და სიტყვას იძლეოდნენ, რომ არ დაზოგავენ სიცოცხლეს ბედნიერი საბჭოთა ხალხის სამშობლოს საკეთილდღეოდ.

23 თებერვალს—ღირსეული შეხვედრა

საერთო აღფრთოვანებამ და სიხარულმა მოიცვა № ნაწილის მებრძოლების, მეთაურებისა და პოლიტმუშაკების გული, როცა მათ გაზეთებში ამოიკითხეს სასიხარულო ამბავი სამხედრო ფიცის დადების წესისა და ამ ფიცის ტექსტის შესახებ. იმავე დღეს ნაწილში გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელზედაც მიღებულ იქნა რეზოლუცია. რეზოლუციაში გამოთქმულია ნაწილის მთელი პირადი შემადგენლობის მზადყოფნა იყონ ერთგულნი და თავდადებულნი დიადი სამშობლოსათვის.

მიტინგზე გამოსულმა ამხანაგებმა იკისრეს ვალდებულებები, რომ გააუმჯობესებენ თავიანთი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების დონეს, თვალისჩინივით დაიცვენ იმ სამხედრო ქონებას, რომელიც მათ განკარგულებაშია, და გაამახვილებენ ბოლშევიკურ სიფხიზლეს.

მიტინგის მოწვევისას ნაწილში გამოსცეს ახალი კედლის გაზეთი „საბრძოლო საგუშაგოზე“. გაზეთი ცოცხალი და შინაარსიანია. იქ მოთავსებულია წითელარმიელების, მეთაურების, პოლიტმუშაკების და ნებაყოფლობით დაქირავებულ სამხედრო მოსამსახურეთა წერილები ფიცის დადების დღისათვის მზადებისა და ამ მზადებასთან დაკავშირებით მათ მიერ ნაკისრი ახალი ვალდებულებების შესახებ.

„ჩვენს ზურგს ვერასოდეს დაინახავს მტერი“

(წერილი № ნაწილიდან)

№ ნაწილში შესდგა მებრძოლების მრავალრიცხოვანი მიტინგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 3 იანვრის ბრძანებულებების გამოქვეყნების გამო. მიტინგი დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა. ყველა ორატორი აღნიშნავდა, რომ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების გამოქვეყნება სამხედრო ფიცის ტექსტისა და ამ ფიცის დადების წესის შესახებ არის სოციალიზმის ქვეყნის უდიდეს გამარჯვებათა მაჩვენებელი.

ნაწილის მებრძოლების, მეთაურებისა და პოლიტმუშაკების ამ მრავალრიცხოვან მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

— ვიძლევით მტკიცე წითელარმიულ სიტყვას, რომ ვერასოდეს ჩვენი ქვეყნის ვერცერთი მტერი ვერ იხილავს ჩვენს ზურგს, რომ ყოველთვის, სადაც და რა დროსაც არ უნდა შეეცადოს იგი ჩვენი ქვეყნის საზღვართა გადმოლახვას, მას შევხვდებით შეჯავშნული მკერდებითა და გამანადგურებელი ცეცხლით.

— სიტყვას ვაძლევთ მთელ საბჭოთა ხალხს, ჩვენს დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს**, — ნათქვამია შემდეგ რეზოლუციაში, — რომ კიდევ უფრო ფხიზლად დავდგებით ჩვენს საზღვართა ხელშეუხებლობის სადარაჯოზე და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დავიცავთ სოციალისტურ სამშობლოს.

გაცდენთა და ცუღლუტთა მფარველები — სასტიკ პასუხისგებაში

სსრ კავშირის პროკურორის ბრძანება

სამუშაოზე დაგვიანებისათვის სასჯელის დადების შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფესიული კავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს 9 იანვარს გამოქვეყნებულ განმარტებასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის პროკურორმა ამხ. ა. ი. ვიშინსკიმ ბრძანება დაუგზავნა ყველა ადგილობრივს, რკინიგზის, წყლის ტრანსპორტისა და სამხედრო პროკურორებს. მათ წინადადება მიეცათ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ საწარმოთა, დაწესებულებათა, საამქროთა და განყოფილებათა ის პასუხისმგებელი ხელმძღვანელები, რომელნიც დაუსჯელად სტოვებენ შრომის დისციპლინის დამრღვევებს. სსრ კავშირის პროკურორმა ბრძანა — ასეთი ხელმძღვანელები პასუხისგებაში მისცენ რუსეთის სფ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის ან 109, ან 111 მუხლის მიხედვით, ანდა სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა კოდექსების სათანადო მუხლების მიხედვით.

(საქდესი).

ვიმუშავებთ სრულ შვიდ საათს

ბორჯომის სატყეო კომბინატის მუშათა კოლექტივის საერთო კრებაზე უდიდესი ინტერესით განიხილეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს 28 დეკემბრის დადგენილება.

ჩვენს წარმოებაში ადგილი ჰქონდა შრომის დისციპლინის დარღვევის ალმაშფოთებელ ფაქტებს. გიორგი ორჯონიკიძემ დეკემბერში 4 სამუშაო დღე გააცდინა. მუშები ჯ. ბარათაშვილი და ლ. კარაპეტოვი „სეზონურად" ცხადდებოდნენ სამუშაოზე. მეტ დროს ლოთობაში და უწესრიგობაში ატარებდნენ. მაგრამ აღნიშნული პირების მიმართ არ მიუღიათ გადამჭრელი ზომები.

წარმოებაში წამლეკებიც მოიპოვებოდნენ. კანცელარიის მოსამსახურეებმა ი. ყანჩაველმა, ქ. ჩხეიძემ და მ. შენგელიამ სხვადასხვა კომბინაციებით წარმოების 13 ათასი მანეთი მიითვისეს. აღნიშნული თანხის ასანაზღაურებლად ჯერ კიდევ მიღებული არ არის გადამჭრელი ზომები.

ჩვენი წარმოებიდან წასულებს, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ სატყეო კომბინატთან, 80-მდე ოთახი უკავიათ. ასევე ითქმის კოჩიტოვის, მ. რურუას, ვ. გოგავასა და სხვათა შესახებ. მათი გასახლების შესახებ მრავალჯერ ვთხოვეთ ბორჯომის რაიაღმასკომსა და პროკურატურის ორგანოებს. მაგრამ ჯერჯერობით არავითარი ზომები არ არის მიღებული. ჩვენ კი იმის გამო, რომ ბინები არ გვყოფნის მუშებისათვის, დაქირავებული გვაქვს 6 ოთახი, რაშიაც ყოველთვიურად 300 მანეთზე მეტს ვიხდით.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფესიული კავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს 28 დეკემბრის დადგენილებამ უკვე მოგვცა შედეგები. აღნიშნული დადგენილების განხილვის შემდეგ ჩვენს წარმოებაში გაცდენის შემთხვევას ადგილი აღარ ჰქონია.

პრ. ღვალაძე

ბორჯომის სატყეო კომბინატის დირექტორი.

წარმოების დეზორგანიზატორისათვის პასუხი არ მოუთხოვიათ

თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები და, პირველ რიგში, კომუნისტები სანიმუშო მაგალითს იძლევიან შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში. 2-3 და 4 იანვარს პირველ კორპუსში მომუშავე 57 კომუნისტიდან ყველა თავის დროზე გამოცხადდა სამუშაოზე. კომუნისტების საგრძნობი ნაწილი 15-20 წუთით ადრე მოვიდა. მაგრამ ესევე არ ითქმის მეორე კორპუსზე. აქ 2 იანვარს სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადდა 15 მუშა, 4 იანვარს კი — 5.

ფაბრიკის საამქროებში და კორპუსებში სუსტად მუშაობს საკონტროლო აპარატი. მეორე კორპუსის მეტაბელემ ბახტაძემ ადმინისტრაციას 4 იანვარს ცნობა მისცა, რომ სამუშაოზე გაცდენას ადგილი არ ჰქონია. მაშინ, როდესაც სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადდნენ მუშები—გორდალუევი, ვანაშიროვი, იაშაკაშვილი და სხვ.

ადგილი აქვს ადმინისტრაციის მხრივ წარმოების დეზორგანიზატორთა მიმართ ანტიხალხური წაყრუების ზოგიერთ ფაქტს.

3 იანვარს კომკავშირის წევრი, მუშა პ. მიქელაძე სამუშაოზე მთვრალი გამოცხადდა, საამქროში ჩხუბი ასტეხა და ხელი შეუშალა მუშაობაში შრომისმოყვარე და პატიოსან მუშებს. მართალია, სამუშაოზე იგი არ დაუშვეს, მაგრამ შრომის დეზორგანიზატორ მიქელაძის წინააღმდეგ ჯერჯერობით ზომები არ მიუღიათ, არც კომკავშირის ორგანიზაცია განუხილავს მისი საქმე.

(საქდესი)

დადგენილება, რომელიც ახალ ენერგიას გვმატებს

გულდასმით წავიკითხეთ გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფესიული კავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს განმარტება „სამუშაოზე დაგვიანებისათვის სასჯელის დადების შესახებ".

ჩვენთვის, ძველი მუშებისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ის გარემოება, რომ ამ დადგენილების შემდეგ მთლიანად და საბოლოოდ განიდევნებიან წარმოებიდან ის „მოშაკები", რომლებიც სისტემატურად იგვიანებენ სამუშაოზე, არ ზრუნავენ წარმოებაში შრომის მტკიცე დისციპლინის შექმნისათვის და თავიანთი საქციელით სამართლიან უკმაყოფილებას იწვევენ კეთილსინდისიერ მუშებში.

ჩვენ გვწამს, რომ ეს დადგენილება კიდევ უფრო გაზრდის შრომის ნაყოფიერებას. იგი ყველა პატიოსან მშრომელს ახალ ენერგიას და შრომის უსაზღვრო ენთუზიაზმს შემატებს.

ვასო ხორხელი

ტრამვაისა და ტროლეიბუსების ტრესტის სადურგლო საამქროს დურგალი—სტახანოველი.

გიორგი ალიევი

ამავე ტრესტის სალუზო საამქროს მუშა—სტახანოველი.

მოსახლეობის აღწერა საყოველთაო-სახალხო საქმეა

იანვარი
17
მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის დასაწყისი

მოსახლეობის საკავშირო აღწერის წინ

12 იანვარს საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქსა და სოფელში დაიწყება საალწერო უბნებში მდებარე სადგომების წინასწარი შემოვლა.

წინასწარი შემოვლა გაგრძელდება რამდენიმე დღეს—16 იანვრამდე. ამ დღეებში დაახლოებით 400 ათასამდე აღმწერი შემოივლის ყველა სახლს, ბინას, საერთო საცხოვრებელს, რომლებიც მათ უბანში მდებარეობენ. წინასწარი შემოვლის დროს აღმწერი ხელმეორედ გაეცნობა შენობების, სადგომებისა და ბინების ადგილმდებარეობას. იგი დაწვრილებით გაიგებს, თუ როგორ უნდა შევიდეს თვითეულ ბინაში, გამოირკვევს თავის მარშრუტს უბანში აღწერის დღეებში.

მოსახლეობასთან შეხვედრის დროს აღმწერები უამბობენ მას აღწერის შესახებ: როგორ შეავსებენ ისინი საალწერო ფურცლებს, როგორ უნდა უპასუხონ მათ კითხვებზე და სხვ.

12-დან 16 იანვრამდე აღმწერები ინახულებენ აგრეთვე ყველა დაწესებულებას და წარმოებას, რომლებიც მოთავსებულია მათ უბნებში, და მოელაპარაკებიან ხელმძღვანელობას და კომენდატურას ყველა იმ პირთა ჩაწერის შესახებ, რომლებიც გაათევენ აქ ღამეს 16 იანვარს.

მატარებლებზე მოსახლეობის აღწერის ორგანიზაცია

(ბათუმი, საკ. კორ.)

აჭარის ასსრ-ის აღრიცხვის სამმართველომ მატარებლებში მოსახლეობის აღწერის ჩასატარებლად გამოჰყო აღმწერლების ორი ბრიგადა. პირველი ბრიგადა 20 აღმწერლისა და 1 ინსტრუქტორ - კონტროლიორის შემადგენლობით, დილით 16 იანვარს ბაქო-ბათუმის მატარებლით გაემგზავრება სამტრედიაში. სამტრედიიდან ეს ბრიგადა გამოჰყვება ბათუმში მიმავალ № 42 მატარებელს და ბათუმში ჩამოსვლამდე ჩაატარებს მოსახლეობის აღწერას.

მატარებელში № 73, რომელიც ბათუმიდან გავა 17 იანვრის 00 საათსა და 45 წუთზე, მოსახლეობის აღწერას ჩაატარებს II ბრიგადა 23 აღმწერისა და ინსტრუქტორ-კონტროლიორის მონაწილეობით. რკინიგზის სადგურსა და ნავსადგურში საკ. კ. პ. (ბ) ბათუმის ქალაქკომის მიერ მოწყობილია აგიტპუნქტები, სადაც აგიტატორები ყოველდღიურად ატარებენ მშრომელ მასებს შორის ახსნაგანმარტებას მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერის მნიშვნელობასა და ამოცანებზე.

მზადება მოსახლეობის საკავშირო აღწერისათვის

თბილისის 26 კომისრის რაიონში

თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონში მოსახლეობის აღწერისათვის საჭირო კადრების მომზადება, რაიონის საალწერო უბნებად დაყოფა, საბინაო დავთრების შემოწმება, ქუჩებისა და საცხოვრებელი სახლების ნუმერაცია დამთავრებულია. აღწერისათვის ყველა საჭირო მასალა მიღებულია და განაწილებულია საალწერო უბანზე.

მაგრამ, უნდა ითქვას, რომ რაიონში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა აღწერის საკითხებზე. რაისაბჭო, პარტიული ორგანიზაციები, კომკავშირის რაიკომი მხოლოდ იმით დაკმაყოფილდნენ, რომ საკითხი აღწერის მზადების შესახებ განიხილეს რაისაბჭოს პლენუმებზე, და სადეპუტატო ჯგუფებში, მაგრამ, რაც მთავარია, აღწერის წესების თვითეულ მოსახლემდე დაყვანას, მისი მნიშვნელობის განმარტებას არ აქცევენ ყურადღებას. ნავთლუღის საბარგო სადგურის უბანში მოსახლეობის უმრავლესობას (№ 1-19 ბინა და სხვ.) წარმოდგენაც კი არ აქვს მოსახლეობის აღწერის საკითხებზე. ისიც კი არ იციან, რომ მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერა 17 იანვარს იწყება.

მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობის საწარმოებლად გამოყოფილი აგიტატორები ფორმალურად ეკიდებიან საქმეს, ერთი თვის წინათ საცხოვრებელ სახლებში მხოლოდ 1-2 ჯერ ჩაატარეს საუბრები და შემდეგ ეს საქმე დაივიწყეს. მათს მუშაობას, როგორც რაისაბჭო, ისე პარტიისა და კომკავშირის რაიკომებიც ყურადღებას არ აქცევენ.

45 ინსტრუქტორ-კონტროლიორმა უკვე ჩაიბარა თავისი საინსტრუქტორო უბნები. რაისაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, პირველი იანვრიდან აღწერის საქმისათვის უნდა გამოეყოთ 4 მსუბუქი ავტომანქანა, ფაქტიურად კი 4 იანვრისათვის ერთი მანქანაც არ არის ამ საქმისათვის გამოყოფილი. შოფერთა სკოლის შენობის ერთ ოთახში უნდა მოწყობილიყო საინსტრუქტორო უბანი, 4 იანვარს სკოლის დირექტორმა ჯაშმა უარი განაცხადა ბინის მიცემაზე: „მართალია, მაშინ დაგპირდით. მაგრამ ახლა ვერ მოგცემთ ბინას". უპასუხისმგებლოდ განუცხადა დირექტორმა პირველი საალწერო განყოფილების უფროსის მოადგილეს ამხ. თელიას. დრო არ იცდის, ამ მდგომარეობას ყურადღება უნდა მიექცეს.

(საქდესი).

სტალინის რაიონში

სტალინის რაიონი ძირითადად მზად არის მოსახლეობის აღწერისათვის. მომზადებულია აღწერისათვის საჭირო ყველა კადრები: 222 აღმწერი და 45 ინსტრუქტორ - კონტროლიორი. მომზადებული საალწერო კადრებიდან 267 ფრიადოსანია.

წარმოება-დაწესებულებებში გამოყოფილია ხელისშემწყობი კომისიები. ჩატარებულია მშრომელთა სიების ზუსტი შემოწმება, სრულ წესრიგშია მოყვანილი ქუჩების სახელები და სახლების ნუმერაცია, ფართოდაა გაშლილი მასობრივი საავიტაციო მუშაობა აღწერის ამოცანებისა და მნიშვნელობის ირგვლივ.

ცალკეულ საალწერო განყოფილებებში, უბნებში და ცალკეულ წარმოება - დაწესებულებებში ჩატარდა მშრომელთა კრებები, სადაც საფუძვლიანად დამუშავდა საკითხი მოსახლეობის აღწერის მნიშვნელობისა და ამოცანების შესახებ. გამოყოფილი აგიტატორები მასობრივ-საავიტაციო მუშაობას ეწევიან აღწერის გარშემო.

აღწერაში ფართოდ არიან ჩაბმულნი მასწავლებლები, ეკონომისტები, სტუდენტები და დიასახლისები.

მოსახლეობის აღწერის საქმისათვის გამოყოფილი დიასახლისები მასობრივ - საავიტაციო მუშაობის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან. აწყობენ დიასახლისებს შორის საუბრებს აღწერის საკითხებზე და განუმარტავენ მათ აღწერის ჩატარების წესებს.

ზესტაფონის რაიონში

ზესტაფონი, (საქდესი). მოსახლეობის აღწერისათვის მზადება რაიონში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. არ არის გაშლილი მასობრივი ახსნა - განმარტებითი მუშაობა აღწერის საკითხებზე, ამ მხრივ ძალზე სუსტად მუშაობენ საალწერო განყოფილებები და სას. საბჭოები.

კონტროლიორ - ინსტრუქტორებს —ი. ფხალაძეს, ი. თაბაგარს, გ. სამხარაძეს და სხვებს დღემდე არ დაუწყიათ აღწერისათვის მოსამზადებელი მუშაობა. მათ დღემდე არ შეუმოწმებიათ საკომლო დავთრები და არ დაუზუსტებიათ საალწერო სიები.

აღწერის მზადების საქმეში სრულ უმოქმედობას იჩენენ მესამე საალწერო განყოფილებაში შემავალი—დილიკაურის, ზედა საქარისა და შროშის სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები. აღწერის ხელისშემწყობი კომისიები მხოლოდ ქაღალდზე ირიცხებიან. აღნიშნულ სას. საბჭოებში მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცის აღწერის მნიშვნელობა და არც ის იცის, თუ როდის დაიწყება აღწერა.

კონტროლიორ - ინსტრუქტორებს სუსტად ეხმარებიან საალწერო განყოფილების გამგეები და მისი მოადგილეები (მესამე საალწერო განყოფილება — ამხ. ნ. ბალანჩივაძე). შროშის, დილიკაურის და სხვა სას. საბჭოებში ინსტრუქტორ - კონტროლიორებს არა აქვს გამოყოფილი სამუშაო ბინები.

არც ქალაქშია უკეთესი მდგომარეობა. 403 კომლს დღემდე არ მიუღია საბინაო დავთრები. ზოგიერთი საბინაო დავთრებიდან არ არიან ამოწერილნი გარდაცვალებულნი, და ჩაუწერელი არიან ახლად დაბადებულნი. რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები ამ მდგომარეობას გულდამშვიდებით უყურებენ.

ორგანიზებულად ჩავატაროთ მოსახლეობის აღწერა

(სტალინირი, საკ. კორესპონდენტისაგან)

მოსახლეობის აღწერისათვის ფართო მოსამზადებელი მუშაობაა გაშლილი სამხრეთ - ოსეთის ავტონომიურ ოლქში. მთავრობის დადგენილებით დეკემბერში ნაადრევი აღწერა ჩატარდა ჯავის რაიონში, ლენინგორის 6 სოფლსაბჭოში და სტალინირის რაიონის ბელოთის და ბიყარის სოფლსაბჭოებში.

აღწერის შედეგებმა დაგვანახვა აღნიშნული რაიონის და სასოფლო საბჭოების მცხოვრებთა დიდი ზრდა, მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. აღწერის დროს კარგად იმუშავეს კომკავშირლებმა — ა. კოჩიევამ, გ. ჯიოევმა, ნ. ცხოვრებოვმა და სხვ.

აღწერისათვის კარგად ემზადება სტალინირის რაიონი. ამ საქმეს უშუალოდ ხელმძღვანელობენ სტალინირის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. რ. ბერუაშვილი და საქ. კ. პ. (ბ) სტალინირის რაიკომის მდივანი ამხ. ლ. ლაზარაშვილი. განსაკუთრებით კარგად ემზადებიან ქურთის და წუნარის სოფლსაბჭოები (თავმჯდომარეები — შ. კახნიაშვილი და ბეკოევი). ამ სასოფლო საბჭოებში უკვე დამთავრებულია საკომლო სიების შემოწმება, საალწერო განყოფილებებისათვის გამოყოფილია საუკეთესო ბინები, ფართოდ არის გაშლილი ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში აღწერის მნიშვნელობასა და ამოცანებზე.

მოსამზადებელი კურსები გაიარა 70 აღმწერმა და 20 ინსტრუქტორ-კონტროლიორმა. 70 აღმწერიდან კურსები „ფრიადზე" დაამთავრა 63 კაცმა. ამათგან გამოირჩევიან ბ. სანაკოევი, ს. ცხოვრებოვა, დ. გაბარაევი და ნ. გულიევი.

ზოგიერთი სასოფლო საბჭო სუსტად ემზადება აღწერისათვის. მაგალითად, გრომის სასოფლო საბჭოში (თავმჯდომარე ს. ურიგაევი) დამთავრებული არ არის საკომლო სიების შეტანა სამეურნეო წიგნაკებში. აზილეთის, ქვემო ვორევის და ქვემო ნოქალაქევის სოფლებში სუსტად არის გაშლილი ახსნა-განმარტებითი მუშაობა.

სტალინირის რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა ყოველგვარი ღონისძიებები უნდა მიიღონ ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის და აღწერის კარგად ჩატარებისათვის.

კ. ტრაპაიძე.

გამოფენა მოსახლეობის აღწერაზე

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიური ფაკულტეტის აღრიცხვის კათედრამ მოაწყო სპეციალური გამოფენა, მიძღვნილი მოსახლეობის სრულიად - საკავშირო აღწერისადმი.

გამოფენა იხსნება იმის ჩვენებით, თუ როგორ ხდებოდა ძველად მოსახლეობის აღწერა რუსეთის იმპერიაში. სპეციალური გრაფიკებით და დიაგრამებით ნაჩვენებია აღწერების დრო, ხანგრძლივობა და საერთოდ აღწერის სოციალური შინაარსი.

აქვე გამოფენილია ძველ და ახალ აღწერებთან დაკავშირებული დამხმარე ლიტერატურა, აღწერის ფურცლები და სხვ.

თბილისის კიროვის რაიონის მეოთხე საალწერო განყოფილებაში

სურათზე: საალწერო განყოფილების მუშაკები (მარცხნიდან მარჯვნით) განყოფილების გამგე ამხ. ა. ბურჭულაძე, მოადგილე ამხ. ა. ბუაძე, ინსტრუქტორ-კონტროლიორი ამხ. ს. კალანტაროვა საინსტრუქტორო უბნებს უნაწილებენ საალწერო ფურცლებს.

ფოტო ვ. ჩერკასოვის (საქდესის ფოტოქრონიკა)

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელთა დასახმარებლად

ვ. ი. ლენინის წიგნზე — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში"

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთში სწრაფად იზრდებოდა კაპიტალიზმი. იზრდებოდა კაპიტალისტურ საწარმოთა რაოდენობა, იზრდებოდნენ პროლეტარიატის კადრები. მაგრამ რუსეთი რჩებოდა ჩამორჩენილ, ნახევრადკოლონიურ ქვეყნად. 1861 წლის რეფორმის შემდეგ დარჩა მემამულეთა პრივილეგიური კლასი და წვრილ, მემამულეებისაგან დამოკიდებულ გლეხურ მეურნეობათა ოკეანე. რუსეთის ყოველმხრივ კაპიტალისტურ განვითარებას აფერხებდა დარჩენილ ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა სიუხვე.

90-იანი წლების ნაროდნიკები უგულვებელჰყოფდნენ ნამდვილ მიზეზებს, რომლებიც აფერხებდნენ რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების პროცესს. ისინი აცხადებდნენ, რომ ეს პროცესი აქ შეუძლებელია იმის გამო, რომ კაპიტალიზმს არ შესწევს ძალა შექმნას თავისი განვითარებისათვის საშინაო ბაზარი. ამ გზით ნაროდნიკები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლება, რომ მარქსის თეორია კაპიტალიზმის განვითარების შესახებ და პროლეტარიატის რევოლუციური როლის შესახებ მოკლებულია საფუძველს. ამ რეაქციული წინაპირობიდან ნაროდნიკებს ის დასკვნა გამოჰყავდათ, რომ მუშათა კლასი არ წარმოადგენს რეალურ ძალას რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში, და ამიტომ რევოლუციური ინტელიგენციის ყურადღება მიპყრობილ უნდა იქნას არა ამ კლასისაკენ.

ნაროდნიკებს არ უნდოდათ დაენახათ, რომ რეფორმის შემდეგ ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთების სიუხვე რუსეთის სოფლის ეკონომიკაში მძიმე გავლენას ახდენდა გლეხობის მდგომარეობაზე, წარმოადგენდა ბორკილს მთელი ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის. ნაროდნიკები აიდეალებდნენ ურთიერთობას, რომელიც არსებობდა გლეხობასა და მემამულეებს შორის, უარჰყოფდნენ პოლიტიკური ბრძოლის საჭიროებას, გახდნენ რეფორმატორობის მქადაგებლები და კულაკობის ინტერესების გამომხატველები.

ვ. ი. ლენინმა თავის ნაწარმოებში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ნაროდნიკობის რეაქციულ შეხედულებებს, მოგვცა რუსეთის ეკონომიკის განვითარების ღრმა მეცნიერული ანალიზი, შეაიარაღა რუსეთის სოციალ-დემოკრატია იმ ვითარების მარქსისტული გაგებით, რომელშიც ვითარდებოდა რევოლუციური ბრძოლა მემამულურ-კაპიტალისტურ რუსეთში.

O

თავის კლასიკურ ნაწარმოებს „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" ლენინი განსაკუთრებით მძიმე პირობებში სწერდა. 1895 წლის 20 დეკემბრის ღამეს ლენინი დააპატიმრეს მეფის ჟანდარმებმა და მოათავსეს საპყრობილეში. ლენინმა საპყრობილეში დაჰყო 14 თვეს. შემდეგ ის გადაასახლეს აღმოსავლეთ ციმბირში პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ სამი წლით.

სასტიკმა დევნამ, რა თქმა უნდა, ვერ გასტეხა ლენინის ნებისყოფა: ყოველთვის და ყველგან, მთლიანად და სავსებით მისცემოდა რევოლუციურ მუშაობას. ციხეში და გადასახლებაში მყოფი ლენინი ოსტატურად გადალახავდა ხოლმე მეფის ჟანდარმერიის დაბრკოლებებს, განაგრძობდა რევოლუციური მუშაობის ხელმძღვანელობას და ავითარებდა მარქსიზმის იდეებს თავის კლასიკურ ნაწარმოებებში.

დაპატიმრების მომენტიდან ლენინმა გაძლიერებით დაიწყო მუშაობა წიგნზე. თავის პირველ წერილში (1896 წლის 2 იანვარი) ლენინი სწერს თავისუფლად მყოფ ამხანაგებს:

„მე მაქვს ერთი გეგმა, რომელიც ძალიან მაინტერესებს ჩემი დაპატიმრების დროიდან, და ეს ინტერესი თანდათან მძლიერდება. მე დიდიხანია გატაცებული ვარ ერთი ეკონომიური საკითხით (დამმუშავებელი მრეწველობის საქონლის ქვეყნის შიგნით გასაღების შესახებ), შევარჩიე ზოგიერთი ლიტერატურა, შევადგინე მისი დამუშავების გეგმა, ზოგი რამ კიდეც დავწერე, მინდოდა ამ შრომის ცალკე წიგნად გამოცემა, თუ იგი საჟურნალო სტატიის ოდენობას აღემატებოდა. ამ მუშაობის თავის მინებება ძალიან არ მინდოდა, ახლა კი, როგორც სჩანს, ალტერნატივის წინაშე ვდგევარ: ან უნდა დავწერო ის აქ, ანდა სულ დავანებო თავი". (ლენინი, ტ. III, გვ. 557).

ამავე წერილში ლენინი იძლევა მითითებებს, როგორ უნდა მოეწყოს ლიტერატურის მიწოდება, თან ურთავს მისთვის საჭირო წიგნების უგრძეს სიას, აგრეთვე ფარული ფორმით კითხულობს — ამხანაგებიდან ვინ არის დაპატიმრებული მასთან ერთად.

მთელი მოსამზადებელი მუშაობა ამ წიგნისათვის ლენინმა განახორციელა ციხეში. მან ერთხელ კიდევ გადაიკითხა მთელი ნაროდნიკული ლიტერატურა, შეისწავლა სტატისტიკური მასალა რუსეთის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ. მან გადაიკითხა ასობით წიგნები, ჟურნალები, გააკეთა მრავალი დაწვრილებითი ამონაწერი და სტატისტიკური გამოანგარიშება. ა. ი. ელიზაროვა თავის მოგონებებში სწერს: „მთელი გროვა წიგნები მიმქონდა მასთან თავისუფალი ეკონომიური საზოგადოების, მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკიდან და სხვა სამეცნიერო წიგნსაცავებიდან". (იქვე, გვ. 559).

ლენინი იმდენად გართული იყო წიგნზე მუშაობით, რომ „ცნობას იმის შესახებ, რომ საქმე თავდება, იგი შეხვდა შეძახილით: „ადრეა! ვერ მოვასწრებ ყველა მასალის შეგროვებას".

„სამწუხაროა, ადრე გამომიშვეს, საჭირო იყო კიდევ დამემუშავებინა წიგნი,... ხუმრობით ამბობდა ვლადიმირ ილიჩი". (იქვე, გვ. 560).

შუშენსკოეში, სადაც ლენინი გადასახლებული იყო, ის ამუშავებდა მთელ დაგროვილ მასალას და მომზადა წიგნი დასაბეჭდად. იგი უაღრესი გულმოდგინებით ამოწმებდა თვითეულ დებულებას, თვითეულ ფაქტს. განსაკუთრებულ ყურადღებას იგი უთმობდა იმ ამხანაგების კრიტიკულ შენიშვნებს, რომლებიც გადასახლებაში მასთან ერთად იმყოფებოდნენ. წიგნზე მუშაობა ლენინმა დაამთავრა 1898 წლის დამლევს. 1899 წლის 15 და 16 აპრილს (ძველი სტილით) გაზეთ „რუსკიე ვედომოსტიში" დაიბეჭდა განცხადება ლენინის წიგნის „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" გამოსვლის შესახებ.

O

ლენინის ნაწარმოები „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" 8 თავისაგან შესდგება. პირველ თავში ლენინი ამჟღავნებს ეკონომისტების — ნაროდნიკების თეორიულ შეცდომებს და ამასთან დაკავშირებით ამუშავებს კაპიტალიზმის დროს საშინაო ბაზრის განვითარების მარქსისტულ თეორიას.

ნაროდნიკები საკითხს საშინაო ბაზრის განვითარების შესახებ აშორებდნენ კაპიტალიზმის განვითარების მთელ პროცესს მაგრამ ეს საკითხი, — სწერდა ლენინი, — „...როგორც კაპიტალიზმის განვითარების საფეხურისაგან ცალკე დამოუკიდებელი საკითხი, სრულიადაც არ არსებობს". (ტ. III გვ. 41). და შემდეგ: „საშინაო ბაზრის შექმნის (ე. ი. საქონლის წარმოების და კაპიტალიზმის განვითარების) ძირითად პროცესს წარმოადგენს შრომის საზოგადოებრივი განაწილება". (იქვე გვ. 40).

ნაროდნიკები რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებას აცხადებდნენ „გზიდან გადახრის" შედეგად, უარჰყოფდნენ რუსეთში შრომის საზოგადოებრივი განაწილების განვითარების ფაქტს.

კაპიტალიზმის განვითარება დაკავშირებულია წვრილ მეწარმეთა გალატაკებასთან, მათთვის საწარმოო საშუალებათა წართმევასთან და მათ გადაქცევასთან დაქირავებულ მუშა ძალად. წვრილ მეწარმეთა ექსპროპრიაციაქმნილი საწარმოო საშუალებანი კაპიტალისტების ხელში კაპიტალად გადაიქცევა ხოლმე. ის, რასაც წვრილი მეწარმენი წინად თვითონ აწარმოებდნენ პირადი მოხმარებისათვის, ამჟამად ისინი, როგორც **დაქირავებული მუშები**, იძულებული არიან იყიდონ კაპიტალისტებისაგან. მაშასადამე, გლეხობის გალატაკება, ნაროდნიკების მტკიცების საწინააღმდეგოდ, ნიშნავდა კაპიტალიზმის დროს საშინაო ბაზრის არა შემცირებას, არამედ განვითარებას.

O

შემდეგ ლენინი გადადის სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების ანალიზზე. ამ საკითხისადმი მიძღვნილია წიგნის 2-4 თავები.

ნაროდნიკები არ კმაყოფილდებოდნენ „თეორიული" მსჯელობით. ისინი აფუჩეჩებდნენ კონკრეტულ ფაქტებსაც, რომლებიც მოწმობდნენ სოფლად კაპიტალიზმის განვითარებას, აყალბებდნენ მონაცემებს ამ საკითხის შესახებ. იყენებდნენ რა საშუალო ოდენობებს, ისინი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ „ხალხური წარმოების" რაღაც განსაკუთრებული წყობილების ბატონობა სოფლად და რომ თემური გლეხობა — კაპიტალიზმისადმი ანტაგონისტურია. ლენინი საკომლო აღწერათა საერობო-სტატისტიკური ცნობების ანალიზის საფუძველზე ააშკარავებს ნაროდნიკ „თეორეტიკოსების" ყალბ ხერხებს და მათ წინაშე გადაშლის გლეხობის კლასობრივი დიფერენციაციის — სოფლად კაპიტალიზმის განვითარების სურათს.

სოფლის ეკონომიური მდგომარეობა მოწმობდა საშუალო გლეხობის მერყევ, გარდამავალ მდგომარეობას. იგი ყოველთვის იშლებოდა და ჰქმნიდა, ერთის მხრით სასოფლო-სამეურნეო ბურჟუაზიას, ხოლო მეორე მხრით სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატს და ნახევრადპროლეტარიატს.

კერძო საქონლისმწარმოებელთა ეკონომიური ინტერესების ბრძოლა იჭრებოდა სასოფლო-სამეურნეო თემის შიგნით და ხელს უწყობდა მის დაშლას, ე. ი. კაპიტალიზმის განვითარებას.

„...რუსეთის თემური გლეხობა,— სწერს ლენინი, — კაპიტალიზმის ანტაგონისტი კი არ არის, არამედ, პირიქით, მისი უმკვიდრესი და უღრმესი ნიადაგია" (იქვე, გვ. 125).

ლენინმა გვიჩვენა, რომ 1861 წლის რეფორმამ მხოლოდ ძირი გამოუთხარა საბატონო ბეგარაზე დამყარებული მეურნეობის სისტემას, მაგრამ არ მოსპო იგი მთლიანად. გლეხობა რჩებოდა დამოკიდებული მემამულის მეურნეობისაგან.

„გლეხური მეურნეობა არ იყო სავსებით გამოყოფილი მებატონის მეურნეობისაგან, რადგან უკანასკნელთა ხელში დარჩა გლეხური ნადელების მეტად არსებითი ნაწილი: „ჩამონაჭერი მიწები", ტყეები, მინდვრები, წყლის დასალევი ადგილები, საძოვრები და სხვ.". (იქვე გვ. 141).

გლეხობის პირადი დამოკიდებულებაც აგრეთვე არ იყო საბოლოოდ მოსპობილი, რჩებოდა „...დროებითი ვალდებულების მდგომარეობა, ურთიერთთავდებობა, გლეხის ფიზიკური დასჯა, მისი საზოგადოებრივ სამუშაოზე ვაყვანა და სხვ.". (იქვე, გვ. 141).

საბატონო ბეგარის სისტემა დარჩა გამომუშავების სახით. გამომუშავება უერთდებოდა კაპიტალისტურ სისტემას — მუშა ძალის „თავისუფალ" დაქირავებას.

ფეოდალური ექსპლოატაციისაგან გლეხობის განთავისუფლების ერთ-ერთ მთავარ პროგრესიულ ფაქტს წარმოადგენდა მიწათმოქმედებაში დაქირავებული შრომის ზრდა. მემამულეთა წარმოებაში დაქირავებული შრომისა და მანქანათა გამოყენების ზრდა XIX საუკუნის დამლევს ყველაზე აშკარად მოწმობდა მემამულეთა მეურნეობის ევოლუციას კაპიტალიზმისაკენ.

მაგრამ ნაროდნიკები ამას ვერ ხედავდნენ, არ უნდოდათ დაენახათ. ისინი აიდეალებდნენ გამომუშავების სისტემას, განიხილავდნენ მას, როგორც მემამულეებსა და გლეხობას შორის წინააღმდეგობის მოსპობის პირობას. ისინი გამოდიოდნენ გლეხების დაქირავებით მუშაობაზე წასვლის წინააღმდეგ. ნაროდნიკები იცავდნენ გლეხობის ფეოდალურ ექსპლოატაციას, რეაქციულ მემამულეთა ინტერესებს გლეხობის ინტერესების დაცვის სახით. ლენინმა გამოამჟღავნა ნაროდნიკები, ჩამოგლიჯა მათ „ხალხის მეგობრების" ნიღაბი და გვიჩვენა მათი ნამდვილი რეაქციული სახე.

O

ვ. ი. ლენინი თავის წიგნში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" ანალიზს უკეთებს რეფორმის შემდევდროინდელ რუსეთში მრეწველობის ფორმებს — „დამმუშავებელ მრეწველობაში საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობის წყობილებას და ამ წყობილების ევოლუციის ხასიათს". (იქვე, გვ. 254). ამ საკითხისადმი მიძღვნილია ლენინის წიგნის 5-7 თავები.

ბატონყმობის გაუქმება ჰქმნიდა რუსეთში სარეწაოების უფრო ფართო გავრცელების შესაძლებლობას. წვრილი სასაქონლო წარმოების განვითარება წარმოადგენდა რუსეთის მრეწველობაში კაპიტალიზმის განვითარების პირველ სტადიას. რეფორმის შემდეგდროინდელი რუსეთის პირობებში წვრილი სარეწაოები ვერ განვითარდებოდნენ, თუ არა კაპიტალიზმისაკენ, წვრილ საქონელ-მწარმოებელთა დაშლისა და მათი წრიდან კაპიტალისტური ელემენტების გამოყოფის საშუალებით.

ისევე, როგორც ნაროდნიკები აიდეალებდნენ წვრილ მიწათმოქმედებას, ისინი აიდეალებდნენ გლეხურ სარეწაოებსაც. ისინი ასაღებდნენ მათ „დამოუკიდებელ ხალხურ წარმოებად", რომლისთვისაც „უც

პარტიული ცხოვრება

განსაკუთრებული დირექტივების მოლოდინში

ორი თვე სრულდება, რაც გამოქვეყნდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“. პარტიულმა ორგანიზაციებმა ბევრი რამ გააკეთეს ამ ისტორიული დადგენილების ბოლშევიკურად განხორციელებისათვის, ბოლო მოეღო კუსტარულობასა და არაორგანიზებულობას პარტიული პროპაგანდის დარგში; პარტიულმა ორგანიზაციებმა სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარკვეული და ნათელი მითითების საფუძველზე მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შესწავლის ძირითად მეთოდად ერთსულოვნად აღიარეს ინდივიდუალური სწავლება. პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს იმისათვის, რომ დაენერგათ პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებში ინდივიდუალური სწავლების მნიშვნელობისა და უპირატესობის შეგნება. მაგრამ ამასთან ერთად საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 ნოემბრის დადგენილება ითვალისწინებს პარტისტორიის შემსწავლელი წრეების არსებობას.

ზოგან უკვე დაამთავრეს პარტისტორიის შემსწავლელი წრეების დაკომპლექტება; თბილისის ტრამვაის მეურნეობაში უკვე გამოარკვიეს იმ ამხანაგების სურვილი და განწყობილება, რომლებსაც წრეებში უნდათ მეცადინეობა. ხოლო საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის სახელობის რაიკომმა თავის მხრივ შეარჩია მომზადებული და შემოწმებული პროპაგანდისტები. მაგრამ პარტისტორიის შემსწავლელი წრეების მეცადინეობას თბილისის ტრამვაის მეურნეობაში რატომღაც არ იწყებენ. როგორც რაიკომის პარტკაბინეტის გამგემ ამხ. თუთბერიძემ განაცხადა, იქ წრეების მეცადინეობას არ დაიწყებენ მანამდის, სანამ არ იქნება დირექტივა, მითითება.

რაშია საქმე? განა კიდევ საჭიროა რაიმე დირექტივა და მითითება? წრეები დაკომპლექტებულია, პროპაგანდისტები შერჩეული — მაშ რატომ არ უნდა დაიწყონ წრეებმა მეცადინეობა?

არ უნდა დავივიწყოთ, რომ წრეებში ჩაბმულ ამხანაგებთან არავინ მეცადინეობს. ისინი თავის ბედის ამარად არიან მიტოვებულნი. რაც საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება გამოქვეყნდა, მას შემდეგ თბილისის ტრამვაის მეურნეობაში წრეები არ მეცადინეობენ.

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეების დაკომპლექტებისას არავითარ შემთხვევაში არ უნდა ავჩქარდეთ. პირველ ყოვლისა უნდა შევარჩიოთ მომზადებული პროპაგანდისტები, ჩავატაროთ სათანადო ახსნაგანმარტებითი მუშაობა, მაგრამ მას შემდეგ, რაც გარკვეულია ამხანაგების სურვილი, ჩატარებულია წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა, შერჩეულია პროპაგანდისტები,—მაშინ რატომ არ უნდა დაიწყონ წრეებში მეცადინეობა?

არ უნდა ველოდებოდეთ კიდევ რაიმე დამატებით დირექტივებს, საჭიროა ღრმად ჩავწვდეთ ცენტრალური კომიტეტის 14 ნოემბრის ისტორიული დადგენილების შინაარსს.

ქ. აქბარდია.

საკასრე ქარხნის ინტელიგენცია

(ბორჯომი, საქ. კორესპონდენტისაგან)

საკასრე ქარხანა მოწინავე წარმოებაა მთელ რაიონში. ქარხანაში 70-მდე ინტელიგენტი მუშაობს. ისინი დაუღალავად იბრძვიან დაკისრებული მოვალეობის წარმატებით შესრულებისათვის. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 ნოემბრის დადგენილებამდე ამ ქარხნის ინტელიგენცია თითქმის მივიწყებული იყო, ნაკლები ყურადღება ექცეოდა მის პოლიტიკურ აღზრდას.

ამჟამად საკასრე ქარხნის ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი დამოუკიდებლად ხალისით მუშაობს წიგნზე, ეუფლება ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ისტორიას. მათ კარგად შეიგნეს, რომ თეორია შეძენის საქმეა. ქარხნის ინჟინრები ამხ. ს. კიკნაძე, გ. გიორგაია, ვ. ჯიქია, ვ. სამხარაძე, სამექანიკო საამქროს უფროსი ამხ. გ. ყეინაშვილი, ტექნიკოსები ნ. ლონდარიძე, ს. ებრალიძე, ბუღალტერი ლიდა ოყროშიძე, ეკონომისტი ოლია არჯევანიძე და სხვ. ბეჯითად სწავლობენ ბოლშევიზმის სახელოვან ისტორიას. ყველა მათგანს შეძენილი აქვს სტალინური სახელმძღვანელო — „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, რომლის საფუძვლიანად შესწავლა საშუალებას აძლევს მათ მოახდინონ თავიანთი თეორიული ჩამორჩენის ლიკვიდაცია.

ამ ქარხნის მოწინავე ინტელიგენტები ყოველდღიურად მსჯელობენ თეორიულ საკითხებზე, უზიარებენ ერთმანეთს აზრს წაკითხულის შესახებ. თითქმის ყველა მათგანს აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა. გამოწერილი აქვთ ჟურნალ-გაზეთები, სისტემატურად კითხულობენ და სწავლობენ გაზ. „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ თეორიულ წერილებს, რომლებიც დიდ დახმარებას უწევს მათ „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ საფუძვლიანად შესწავლაში.

გრ. ლომიძე

საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის პლენუმი

(ბათუმი, საქ. კორესპონდენტისაგან)

9 იანვარს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის III პლენუმი. პლენუმმა მოისმინა რაიაღმასკომის პარტკომის მდივნის ამხ. ი. ლეპსაიას და მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზატორის ამხ. გრ. ვაჩეიშვილის მოხსენებები საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტების მიერ წამოყენებული წინადადებებისა და მიღებული დადგენილებების განხორციელების შესახებ.

ამ მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ათმა კაცმა. პლენუმმა მოსმენილ მოხსენებათა გამო მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი.

ქ. დობორჯგინიძე

ქ. ბათუმის საწარმოთა პარტიული მუშაკების დელეგაცია თბილისში.

სურათზე: დელეგატების ჯგუფი 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში ესაუბრება ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანს ამხ. მოსიძეს.

ფოტო ჩერკასოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

პარტიაში ღებულობენ მოწინავე ადამიანებს

(ცხაკაია, საქ. კორესპონდენტისაგან)

პარტიაში სოფლის მოწინავე ადამიანთა მიღებას და ახალმიღებულთა შორის მუშაობას განსაკუთრებით სერიოზულად მოჰკიდეს ხელი სოფელ ძველი სენაკის ტერიტორიულმა და ეკის კოლმეურნეობის „ნაბიჯით წინ“ პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა. თუ საანგარიშო-საარჩევნო კრებამდე ძველი სენაკის ტერიტორიულ პარტორგანიზაციაში მიღებულ იყო 3 კაცი, ამჟამად ეს რიცხვი 24 აღწევს, ხოლო ეკის კოლმეურნეობის—„ნაბიჯით წინ“ პარტორგანიზაციაში პარტიის წევრობის კანდიდატთა რიცხვი 2 კაციდან 14-მდე გაიზარდა.

ძველი სენაკის ტერიტორიული პარტორგანიზაციის მიერ პარტიაში მიღებულია სოფლის მოწინავე ადამიანები: მასწავლებლები, აგრონომები, ბრიგადირები და სხვ., რომლებიც პარტიული ორგანიზაციის დახმარებით გამოიზარდნენ და დაწინაურდნენ უფრო საპასუხისმგებლო სამუშაოებზე.

პარტწევრობის კანდიდატი ამხ. გრ. ჩემია, რომელიც ძველი სენაკის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის რიგითი მუშა იყო, პარტიაში მიღების შემდეგ ბეჯითი მუშაობისათვის გადაყვანილ იქნა ბრიგადირად, ხოლო ამჟამად დაწინაურებულია მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მოადგილედ. მეღორეობის აღმავლობის საქმეში თვალსაჩინო წარმატებებისათვის ამხ. გრ. ჩემია დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენით. პარტკანდიდატი ამხ. ლ. ჯანჯღავა, რომელიც წინათ მუშაობდა აგროტექნიკოსად, ენერგიული მუშაობისათვის დაწინაურებულ იქნა უბნის აგრონომად. ასევე აღიზარდა და დაწინაურდა ძველი სენაკის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. დიმიტრი ჯაკობია, რომელიც ამჟამად არჩეულია ცხაკაიას ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ.

ეკის კოლმეურნეობა „ნაბიჯით წინ“-ის პარტორგანიზაციამ პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღო ამხ. ვალ. ცხვიტავა, რომელიც ამავე კოლმეურნეობას თავმჯდომარეობს 1932 წლიდან. მიღებული არიან აგრეთვე: კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადირი ამხ. კ. ადამია, რომლის ბრიგადამ მიმდინარე წელს საშუალოზე მეტი მოსავალი მიიღო; მოწინავე კოლმეურნე სტახანოველი ამხ. ა. ცხვიტავა, ონ. ცხვიტავა, სტახანოველი ამხ. ოლღა ცხვიტავა, რომელიც ჩაის კრეფის ყოველდღიურ ნორმას 300-400 პროცენტით ასრულებს და დღემდის გამომუშავებული აქვს 400-ზე მეტი შრომადღე. მოწინავე ქალები ზუნტულ და მარიამ ცხვიტავები და სხვ.

პარტიაში ახალი წევრთა მიღების და მათი აღზრდის საქმეში თვალსაჩინო წარმატებები აქვთ აგრეთვე ზემოქალადიდის ბ-ტყის დამზადების და ეკის სასოფლო ტერიტორიულ პირველადს პარტორგანიზაციებს.

მაგრამ ამასთანავე რაიონში არიან პირველადი პარტორგანიზაციები, რომლებიც გულგრილად ეკიდებიან პარტიის რეზერვთან მუშაობას, პარტიაში მოწინავე ადამიანთა მიღების საქმეს და ხელოვნურად აჭიანურებენ დოკუმენტების გაფორმებას. მაგალითად, ფოცხოს დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციაში (პარტორგი — ამხ. ვ. ქადარია) თანამგრძნობმა ამხ. შ. მალანიამ 1936 წლის 4 დეკემბერს შეიტანა განცხადება პარტწევრობის კანდიდატად მიღების შესახებ, მაგრამ მისი საკითხი დღესაც არ არის განხილული, თანამგრძნობ ამხ. ს. ქურღულიას ორჯერ აქვს განცხადება შეტანილი (აპრილსა და ნოემბერში) პარტიაში მიღების შესახებ, მაგრამ არც მისი განცხადება განხილული.

თანამგრძნობთა ჯგუფში შესასვლელად განცხადება შეიტანეს კოლმეურნე სტახანოველმა ქალმა ამხ. ბაბი შამათავამ, ექიმმა ალექსი ქადარიამ და მოწინავე კოლმეურნემ ამხ. დ. შონიამ, მაგრამ ეს განცხადებები დღემდე განუხილველი აწყვია.

აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მუშაობა უნდა გარდაქმნან და პარტიაში მოწინავე ადამიანთა მიღებას ბოლშევიკურად მოაწყონ.

ვ. კალანდარიშვილი

როგორ დავიწყე დამოუკიდებლად მუშაობა

ზესტაფონი, 10 იანვარი (საქდესი). საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 ნოემბრის დადგენილების შემდეგ საფუძვლიანად დავიწყე სტალინური სახელმძღვანელოს — „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ დამოუკიდებლად შესწავლა.

სანამ ამ ღირსშესანიშნავ სახელმძღვანელოს შესწავლას შევუდგებოდი, მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის 51 სხვადასხვა ნაწარმოები შევიძინე ჩემს ბიბლიოთეკას და მის შემდეგ დავიწყე „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ პირველ თავზე მუშაობა. პირველი თავის შესწავლასთან დაკავშირებით წავიკითხე ლენინის ნაშრომები: „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“ და სხვ.

მე აგრეთვე მაქსიმალურად ვიყენებ ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებულ თეორიულ სტატიებსა და ახსნაგანმარტებებს.

დღემდე შესწავლილი მაქვს „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ პირველი თავი.

სისტემატურად ვმუშაობ იმისათვის, რომ შევიარაღდე მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმა ცოდნით და ნამდვილად აღვზარდო კომუნისტურ პრინციპებზე საბჭოთა ახალგაზრდობა.

ა. შველიძე

სოფ. ილემის ა.-ს. საშუალო სკოლის დირექტორი.

ვ. ი. კიკვიძე

(20 წელი დაღუპვიდან)

სოციალიზმის ნორჩი ქვეყანა ცეცხლის ალში იყო გახვეული... ფრონტებზე გულშემზარავად გაისმოდა ქვემეხების გრიალი.

ბოლშევიკების პარტიამ ქვეყანა სამხედრო ბანაკად გამოაცხადა, მისი სამეურნეო და კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრება სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნა.

სოციალისტური სამშობლო აშკარა საფრთხეში იყო.

ბოლშევიკების გენიალური ბელადები ლენინი და სტალინი მებრძოლი ლოზუნგებით მოუწოდებდნენ საბჭოთა ქვეყნის მუშებს, გლეხებს, ჯარისკაცებს და მეზღვაურებს — „ყველაფერი ფრონტისათვის“.

ბოლშევიკების პარტიის ცეცხლოვანი ლოზუნგები ელვის სისწრაფით მიდიოდა ფრონტებისაკენ, მხნედ გაისმოდა სანგრებში, ყაზარმებში, კრეისერებზე.

დადგა 1918 წელი...

„პარტიამ ფეხზე დააყენა ხალხი **სამშობლოს დასაცავი ომისათვის** უცხოეთის ინტერვენციის ჯარების შემოსევის წინააღმდეგ, რევოლუციის მიერ დამხობილი ექსპლუატატორული კლასების ამბოხებათა წინააღმდეგ“ („საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“).

ჩრდილოეთ რუსეთში თარეშობდნენ ინგლისელებისა და ფრანგების ჯარები. არხანგელსკსა და მურმანსკში მათ დაამხეს საბჭოთა წყობილება და შექმნეს „მთავრობა ჩრდილოეთ რუსეთისა“.

იაპონელმა მტაცებლებმა ჯარები გადმოსხეს ვლადივოსტოკში, შემოიჭრნენ პრიმორიეს რაიონებში.

ჩრდილოეთ კავკასიაში მოიკალათეს გენერლებმა: კორნილოვმა, ალექსეევმა, დენიკინმა და სხვებმა, რომლებიც უცხოელ მტაცებელთა დახმარებით ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ დაპყრობილ რაიონებს, სისხლში ახრჩობდნენ მუშებსა და გლეხებს.

ეს ის დრო იყო, როცა ჰორიზონტზე მკვეთრად გამოჩნდა ორი გაცოფებული მხეცი: ანტანტის უცხოელი იმპერიალიზმი და კონტრევოლუცია რუსეთის შიგნით...

O

სამოქალაქო ომის პერიოდი მდიდარია გმირული, მამაცური ამბებით.

სამოქალაქო ომის ისტორიას ბევრი ლეგენდარული გმირის სახელი ახსოვს. ჩაპაევის გმირულ ეპოპეას ემატება უკრაინელი ლეგენდარული გმირი შჩორსის და მამაცი დივმეთაურის ვასილი ისიდორეს-ძე კიკვიძის სახელები.

დივიზიის გულადმა და შეუდრეკელმა მეთაურმა ვასილ კიკვიძემ სამოქალაქო ომის ფრონტზე ბრძოლების სახელოვანი გზა განვლო. მისი ბრძოლები აღსავსეა გმირული ეპიზოდებით.

1917 წელს ვასილ კიკვიძე სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე იბრძოდა.

რევოლუციის შემდეგ ის გვევლინება როგორც პარტიზანული რაზმების ორგანიზატორი.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე პეტლიურას და კრასნოვის რაზმები აძლიერებენ შემოტევას, ანადგურებენ სოფლებს. რევოლუციური ცეცხლით გატაცებული კიკვიძე ამ დროს მე-6 ცხენოსან დივიზიაშია. ის დიდი სიყვარულითა და ნდობით სარგებლობს ჯარისკაცთა შორის, რომლებიც მას დივიზიის კომიტეტის თავმჯდომარედ ირჩევენ.

ვ. კიკვიძე აშკარად გადადის ბოლშევიკების მხარეზე, ის არა თუ არ ასრულებს დროებითი მთავრობის განკარგულებებს თურქესტანის ბოლშევიკურ კორპუსის განადგურების შესახებ, არამედ უძმობილდება ბოლშევიკურ რაზმებს.

კიკვიძე ერთი პირველთაგანი ეხმაურება მოწოდებას წითელგვარდიელთა რაზმების შექმნის შესახებ. მას უერთდებიან სხვადასხვა ნაწილები, ყალიბდება დივიზია, რომლის მეთაურად ინიშნება ვ. კიკვიძე.

გერმანელ ინტერვენტებთან და პეტლიურას რაზმებთან ბრძოლაში ვ. კიკვიძე იჩენს შესანიშნავ გმირობას, დიდ სამხედრო-სტრატეგიულ ნიჭს.

1918 წელს კიკვიძის დივიზია უკვე ჩამოყალიბებულია და იგი ოფიციალურად შედის წითელი გვარდიის მწყობრში.

კიკვიძე უაღრესად გულისხმიერია ამხანაგებისადმი დამოკიდებულებაში, ამიტომ უყვართ იგი მებრძოლებს. ის პირადი მაგალითით უჩვენებს თავის მეომრებს მამაცობისა და გმირობის იშვიათ ნიმუშებს.

ბრძოლის ცეცხლით ანთებული მეომრები მხნედ მიჰყვებიან თავის მეთაურს ყოველგვარი სიძნელეების გადასალახავად მტრებთან ბრძოლაში. ტამბოვში დიდი მღელვარებაა, აქ თარეშობენ თეთრგვარდიელები, რომლებიც გადატრიალებას ამზადებენ.

საკმარისია ტამბოვის მიდამოებში გამოჩნდეს კიკვიძის დივიზია, რომ თავზარდაცემული თეთრგვარდიელების ხროვა ცხვრის ფარასავით გარბის.

... 1918 წელს გერმანელები ლებედინოში ახდენენ ნაწილების კონცენტრაციას, რათა შემდეგ შეუტიონ ხარკოვს. გერმანელთა ჯარები ლებედინოში მრავალრიცხოვანი იყო. მათ გმირულად უმკლავდებოდა კიკვიძის რაზმი.

სახელოვანი მეთაური აქტიურ მონაწილეობას იღებდა ცარიცინის დაცვაშიაც.

... მეთაური ცარიცინის ახლოს — სტანიცა ფილონოვოს სადგურში მოვიდა მეტად დაღლილი და ჩაწვა ლოგინში. მოულოდნელად კიკვიძელებს თავს დაესხნენ კრასნოვის ბანდები. გმირი მეთაური პერანგის ამარა გამოვარდა და მხნედ ეკვეთა მტერს. კიკვიძის გამოჩენამ თავზარი დასცა კრასნოვის ბანდებს, რომლებიც ელვის სისწრაფით გაჰქრნენ...

... ტანკს, რომელსაც მეთაურობდა თვითონ კიკვიძე, ბენზინი უთავდებოდა. ყაზახთა ბანდებით ალყაშემორტყმული კიკვიძე ოდნავაც არ დაიბნა. გონებამახვილმა მეთაურმა სწრაფად გამონახა გამოსავალი, მან ტანკი ტალახში ჩააყენა და ბუქსვა დააწყებინა.

ყაზახებმა იფიქრეს, ტანკი დაზიანებულია, მას ცეცხლის მარაგი გამოელიაო. შეუბეს ცხენები და ტანკი შტაბისაკენ წაიყვანეს.

როდესაც ტანკს გარს შემოეხვივნენ მტრის მრავალრიცხოვანი ნაწილები, კიკვიძემ მომართა ტყვიამფრქვევი და მუსრი გაავლო მოწინააღმდეგეთ...

... 1919 წელს დონის ოლქის სოფელ ზუბრილოვთან იდგა კიკვიძის გმირული დივიზია. კიკვიძემ შეამოწმა მომავალი შეტევისათვის მეომრების მზადყოფნა, შემდეგ ჩაჯდა ჯავშნიან ავტომობილში და მტრის ბანაკის შუაგულში შეიჭრა. „დამნებდით, მე კიკვიძე ვარ“, — თავზარდამცემად დასჭექა თეთრებს, რომლებმაც დასტოვეს პოზიციები და გაიქცნენ. კიკვიძის გმირულმა დივიზიამ გასთელა თეთრგვარდიელ გენერლების ბანდები. ამ ბრძოლების შემდეგ დივიზიამ შეისვენა. შორიდან სროლის ხმა ისმოდა. კიკვიძე შეუდგა საგუშაგოების დათვალიერებას, მაგრამ ერთერთ საგუშაგოსთან უცებ წაიქცა. ბრმა ტყვია გულის ზემოთ მოხვდა. გმირმა უკანასკნელად მოუწოდა თავის ირგვლივ შემოხვეულ მეომრებს, — ბრძოლა განაგრძეთო, — და სული დალია.

ვასილ კიკვიძე არ იყო ბოლშევიკების პარტიის წევრი, მაგრამ იგი თავდადებულად იბრძოდა ბოლშევიკების პარტიისათვის, სოციალისტური სამშობლოსათვის.

გმირულმა ბრძოლებმა უკვდავჰყვეს ამ ლეგენდარული მეთაურის სახელი.

კიკვიძელთა დივიზია, რომელიც ამჟამად ატარებს თავისი პირველი და მამაცი მეთაურის სახელს, ერთგულად იცავს კიკვიძის ტრადიციებს.

„დივმეთაური რომ გასცემს ძახილს,
და გაიშლება გმირების სია,—
დაუძახებენ:—„კიკვიძე ვასილ,
„ვარ“,—უპასუხებს მხნედ დივიზია“.

სამალარიო სადგური — ცაგერს!

(„კომუნისტის“ საქ. კორესპონდენტისაგან)

ლეჩხუმი მთაგორიანი რაიონია — დაჯილდოვებულია ლამაზი ბუნებით, ხშირი ტყეებით, ანკარა ცივი წყაროს წყლებით...

დიახ, ასეთია ლეჩხუმი! და საკვირველია, რომ აქ მაგრად მოუკიდნია ფეხი ადამიანის ჯანმრთელობის საშინელ მტერს — მალარიას. ძნელია იპოვო ლეჩხუმის რომელიმე სოფელი, თუნდაც იგი „ყველაზე მაღლობ ადგილს მდებარეობდეს, სადაც მცხოვრებთა განსაზღვრული რაოდენობა დაავადებული არ იყოს მალარიით.

1921 წლამდე ლეჩხუმში ერთი ექიმიც არ იყო. ახლა რაიონის თითქმის ყველა საბჭოში მუშაობს საექიმო პუნქტი თავისი ექიმით. დაარსდა საავადმყოფოები, ამბულატორიები, აფთიაქები და ლეჩხუმელ მშრომელებს საშუალება მიეცათ უმკურნალონ თავს, თავიდან მოიშორონ მალარია, რომელიც წყეულმა წარსულმა დაუტოვათ. მოსახლეობისათვის გულმოდგინე და მუდმივი სამკურნალო დახმარების შედეგად, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშივე ლეჩხუმში ერთი-ათად შემცირდა სიკვდილიანობა, რასაც მალარია და აქედან გამომდინარე სხვა ავადმყოფობანი იწვევდნენ.

მაგრამ ჯანმრთელობის ორგანოების მიერ მალარიის საწინააღმდეგოდ გატარებული ღონისძიებანი ჯერ კიდევ არ შეიძლება საკმარისად ჩაითვალოს. არც ის არის სწორი თითქოს ლეჩხუმში მალარიას ადგილი არა აქვს და რომ ამ მხარეში მალარიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარებისათვის მაინცდამაინც საჭირო არ არის ზედმეტი (?!) თანხების ჩაყრა. ეს მავნე აზრია და სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს.

ჯერ-ერთი, ლეჩხუმში დღესაც არსებობს ხელსაყრელი პირობები უკვე არსებული მალარიის კიდევ უფრო გავრცელებისათვის. 15-მდე სოფელი (ლუხვანო, წიფერჩხი, ორბელი, ზარაგულა, ბარდნალა, მახაში, ლასურიაში, ალვი, ლაცორია და სხვ.) ნესტიანია. ამ ნიადაგზე ჩნდება ხშირი, სხვადასხვა სიდიდის ტბები. თუ ერთი ტბის ამოშრობას შეეცდებით, თქვენმა შრომამ შეიძლება ფუჭად ჩაიაროს, რადგან შესაძლებელია ეს ტბა თავისით დაშრეს, ხოლო სამაგიეროდ სხვა ადგილზე ორი ან უფრო მეტი გაჩნდეს. ამგვარად მალარიის კოღოს გამრავლებისათვის ბაზა არსებობს ლეჩხუმში, ამიტომ იყო, რომ 1937 წელს მალარიით დაავადების ხშირ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი. ასე, იმავე წლის ზაფხულში ცაგერის ამბულატორიაში გამოცხადებულ ავადმყოფთა 60-65 პროცენტი მალარიით დაავადებული აღმოჩნდა.

იმისათვის, რომ ლეჩხუმში მალარიის წინააღმდეგ ბრძოლამ უკეთესი შედეგი გამოიღოს და სავსებით მოისპოს მალარიით დაავადებათა შემთხვევები, აუცილებელია ლეჩხუმის ცენტრში — ცაგერში გაიხსნას სამალარიო სადგური.

საქ. ჯანსახკომმა აუცილებლად უნდა შეასრულოს ლეჩხუმის მოსახლეობის ეს კანონიერი მოთხოვნა. ამ ამოცანის გადაჭრაში თავისი ჯეროვანი წვლილი უნდა შეიტანოს ტროპიკულ დაავადებათა ინსტიტუტმა.

გ. ყურაშვილი.

ხოა“ კაპიტალიზმი. ლენინმა გამოააშკარავა ნაროდნიკების მტკიცებათა მთელი სიყალბე და გვიჩვენა, რომ იქ, სადაც „ეკონომისტი-მანილოვები“ ვერ ხედავენ კაპიტალიზმს, იქ იგი დიდიხანია არსებობს და ვითარდება.

რეფორმის შემდეგდროინდელ რუსეთში წვრილი კაპიტალისტური საწარმოები მჭიდროდ ეხლართებოდა კაპიტალიზმის უფრო მაღალ ფორმებს: მანუფაქტურას და ფაბრიკას. წვრილ სარეწაოებთან ერთად არსებობდნენ სახელოსნოები, რომლებიც აერთიანებდნენ ათობით და ასობით დაქირავებულ მუშებს. ამ სახელოსნოებში წარმოება ხორციელდებოდა ხელგარჯილობით. მუშაობა ორგანიზებული იყო შრომის განაწილების საშუალებით. კაპიტალისტური მანუფაქტურა მთავარ როლს თამაშობდა სარეწაოებში.

წვრილ საწარმოთა უდიდესი რაოდენობა იყო ბაზა ექსპლოატაციის უსაშინელესი ფორმის — სახლში კაპიტალისტური მუშაობის — ფართო განვითარებისათვის. ლენინის გამოანგარიშებით, მარტო 50-60 მაზრაში იყო 200 ათას კაცზე მეტი, რომლებიც სახლში მუშაობდნენ კაპიტალისტებისათვის.

მანუფაქტურიდან მსხვილ სამანქანო ინდუსტრიაზე გადასვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კაპიტალისტური საზოგადოების ყველა ანტაგონიზმის განვითარებაში.

„მანუფაქტურიდან ფაბრიკაზე გადასვლა მოასწავებს სრულ ტექნიკურ გადატრიალებას, რომელიც სპობს ხელოსნის საუკუნოებით განმტკიცებულ მუშაობის ხელოვნებას, ხოლო ამ ტექნიკურ გადატრიალებას გარდუვალად მოსდევს წარმოების საზოგადოებრივი ურთიერთობების მძაფრი რღვევა, საბოლოო განხეთქილება წარმოებაში მონაწილე პირთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის, კავშირის გაწყვეტა ტრადიციასთან, კაპიტალიზმის ყველა ბნელი მხარის გამწვავება და გაფართოება და ყოველივე ამასთან ერთად შრომის მასობრივი განსაზოგადოება კაპიტალიზმის მიერ. ამნაირად, მსხვილი სამანქანო ინდუსტრია კაპიტალიზმის უკანასკნელი სიტყვაა, მისი უარყოფითი და „დადებითი მომენტების „უკანასკნელი სიტყვაა“. (იქვე, გვ. 353).

რუსეთის იმ პერიოდის სტატისტიკის ცნობები არ ვარგოდა მანუფაქტურიდან საფაბრიკო მრეწველობაზე გადასვლის დასახასიათებლად: ისინი მეტად არასრული იყო. გარდა ამისა, სტატისტიკას ერთ სვეტში შეჰქონდა „საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა“ და წვრილი და მსხვილი მრეწველობა. სტატისტიკის ამ ნაკლოვანებებს ნაროდნიკები იყენებდნენ რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების პროცესის მისაჩქმალავად.

ლენინი კრიტიკულად მოეკიდა სტატისტიკის ცნობებს. მან გამოარკვია ფაბრიკის ნიშნეულობა. „ამ სტადიის ძირითადი და ყველაზე არსებითი ნიშნეულობა, — სწერდა ლენინი, — მდგომარეობს წარმოებისათვის მანქანების სისტემის გამოყენებაში“. (იქვე, გვ. 353). სარგებლობდა რა ამ ნიშნეულობით, მან დაამტკიცა მსხვილი საფაბრიკო-ქარხნო მრეწველობისა და რეფორმის შემდეგდროინდელი რუსეთის წარმოების სხვადასხვა დარგებში მისი ხვედრითი წონის სწრაფი ზრდა.

კაპიტალიზმი სულ უფრო და უფრო ღრმად იჭრებოდა რუსეთის ცხოვრებაში, მაგრამ ამასთან ერთად რუსეთი რჩებოდა ჩამორჩენილ, დამოკიდებულ ქვეყნად და ბევრით უთმობდა, კაპიტალიზმის განვითარების დონით, დასავლეთის ქვეყნებს.

„თუ რუსეთის წინაკაპიტალისტურ ხანას, — სწერდა ლენინი, — შევადარებთ კაპიტალისტურ ხანასთან (და სწორედ ასეთი შედარებაა საჭირო საკითხის სწორად გადასაჭრელად), მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარება კაპიტალიზმის დროს მეტად სწრაფად მიმდინარეობს. ხოლო თუ შევადარებთ განვითარების მონაცემ სისწრაფეს იმას, როგორიც შესაძლებელი უნდა იყოს საზოგადოდ ტექნიკის და კულტურის თანამედროვე დონის პირობებში, მაშინ მართლა უნდა ვაღიაროთ, რომ რუსეთის კაპიტალიზმის მონაცემი განვითარება მართლაც ნელა სწარმოებს. და ეს განვითარება არც შეიძლება ნელი არ იყოს, ვინაიდან არცერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში არ შენახულა ასე უხვად ძველის დაწესებულებანი, რომელნიც შეუთავსებელია კაპიტალიზმთან, რომელნიც აფერხებენ მის განვითარებას, უსაზღვროდ აუარესებენ მწარმოებლების მდგომარეობას, იმ მწარმოებლების, რომელნიც იჩაგრებიან „კაპიტალიზმითაც და კაპიტალიზმის არასაკმაო განვითარებითაც“. (იქვე, გვ. 469).

საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარება დაკავშირებული იყო მუშების დენასთან ქალაქებში. ამან განსაკუთრებული როლი ითამაშა „მუდმივი საფაბრიკო მუშების კლასების შექმნის“ პროცესში, მუშების, რომლებიც საბოლოოდ ჩამოშორებული იყვნენ მიწათმოქმედებას — რუსეთის პროლეტარიატის შექმნის პროცესში, აგრეთვე მუშათა მასების ორგანიზაციაში და მათი რევოლუციური შეგნების ზრდაში. ამ პერიოდში იწყება საგაფიცვო ბრძოლის ზრდა რუსეთში. ლენინი თავის სტატიაში „გაფიცვების შესახებ“, რომელიც დაწერილია 1899 წელს, ამბობს: „მუშათა გაფიცვები რუსეთში უკანასკნელი წლების განმავლობაში მეტისმეტად გახშირდა“. და შემდეგ, უპასუხებს რა კითხვაზე — რატომ ხდება ეს, ლენინი სწერდა: „...გაფიცვები ჩნდებიან და ვრცელდებიან იქ, სადაც ჩნდებიან და ვრცელდებიან მსხვილი ფაბრიკები“. (ტ. I, გვ. 571).

მუშათა კლასის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე იყო: რუსეთის მრეწველობაში არსებობდა მეტად გრძელი სამუშაო დღე და დაბალი ხელფასი. განსაკუთრებით მძიმე იყო საბინაო პირობები. კიდევ უფრო მძიმე იყო იმ დარგებში მომუშავე მუშების მდგომარეობა, რომლებისთვისაც დამახასიათებელი იყო წარმოების დაქუცმაცებულობა, დაქსაქსულობა, სადაც მუშებს ჯერ კიდევ საბოლოოდ არ გაეწყვიტათ კავშირი მიწათმოქმედებასთან.

ნაროდნიკები ალტაცებული იყვნენ მიწათმოქმედებასთან სარეწის შეერთების „სიმტკიცით“ და უგულვებელჰყოფდნენ იმ ფაქტს, რომ მუშათა სწორედ ამ კადრებს ეწეოდათ ყველაზე დაუნდობელი ექსპლოატაცია, რომ საფაბრიკო მრეწველობის ზრდა ამასთან ერთად ნიშნავდა მუშათა კლასის ბრძოლის გაშლას იმისათვის, რომ მოესპო მისი უმძაფრესი ექსპლოატაცია კაპიტალიზმის მიერ. ლენინმა გაანადგურა ნაროდნიკების ეს რეაქციული, ჩამორჩენილი შეხედულებებიც.

O

რეფორმის შემდეგდროინდელი რუსეთის ეკონომიკა მოწმობდა სასაქონლო ბრუნვის უდიდეს ზრდას, კაპიტალის დაგროვებას, სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებას. მიწათმოქმედებისაგან ადამიანების მოწყვეტა და ინდუსტრიული მოსახლეობის ზრდა წარმოადგენდა კაპიტალისტური განვითარების აუცილებელ შემადგენელ ნაწილს. რეფორმის შემდეგდროინდელ რუსეთში ეს ზრდა გამოიხატებოდა ქალაქების, გარეუბნების, საფაბრიკო-საქარხნო და სავაჭრო-სამრეწველო სოფლებისა და დაბების ზრდაში, და აგრეთვე არასამიწათმოქმედო სამუშაოზე წასვლაში. დაქირავებული შრომის გამოყენების ზრდა იყო რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების ერთერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანი. რეფორმის შემდეგდროინდელ რუსეთში ითვლებოდა $7\frac{1}{2}$ მილიონი დაქირავებული მუშა მოზრდილ მამაკაცთა რიცხვიდან, ე. ი. ქვეყნის მოზრდილ მამაკაცთა თითქმის ნახევარი.

კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში წარმოადგენდა პროგრესიულ-ისტორიულ ფაქტს. ეს განვითარება ნიშნავდა „საზოგადოებრივი შრომის საწარმოო ძალების ამაღლებას და მის განზოგადოებას“. (ლენინი. ტომი III, გვ. 466). ეს იყო აუცილებელი პირობა კლასობრივი ბრძოლის განვითარებისა და რუსეთში კაპიტალისტური საზოგადოების ყველა შინაგან წინააღმდეგობათა გამწვავებისა.

ლენინი აღიარებდა რუსეთის კაპიტალიზმის პროგრესიულ-ისტორიული როლის ფაქტს, მაგრამ ამასთან ერთად მან გამოააშკარავა ამ კაპიტალიზმის დამახასიათებელი ყველა ულრმესი წინააღმდეგობა, გვიჩვენა მისი ისტორიულად გარდამავალი ხასიათი: ამ საზოგადოების დამხობისა და მისი ისეთი საზოგადოებით შეცვლის აუცილებლობა, სადაც არ იქნება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია.

O

ლენინის მეცნიერულმა შრომამ „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ განსაკუთრებული რევოლუციური როლი ითამაშა ჩვენი პარტიის განვითარებაში. ამ მუშაობამ დაასრულა მარქსიზმის მტრების — ნაროდნიკების იდეური განადგურება.

მოწინააღმდეგეთა მხრით ლენინის ნაწარმოების კრიტიკა ზერელე, წვრილმანი იყო. თავის სტატიაში „არაკრიტიკული კრიტიკა“, რომელიც დაწერილია ერთერთი ასეთი კრიტიკოსის—პ. სკვორცოვის წინააღმდეგ, ლენინი სარკასტულად დასცინის ავტორს, ააშკარავებს რა მისი კრიტიკის დაუსაბუთებლობას. 1905-1907 წლების რევოლუციის მთელმა მსვლელობამ სავსებით დაადასტურა ლენინური ანალიზი. ლენინმა არამარტო აღადგინა მარქსის მოძღვრება კაპიტალიზმის განვითარების შესახებ, მან შემდგომ განავითარა ეს მოძღვრება, დაამუშავა კაპიტალიზმის დროს საშინაო ბაზრის განვითარების მარქსისტული თეორია.

ლენინი დიდ მნიშვნელობას აძლევდა წიგნს „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“. 1905 წლის პირველი რევოლუციის შემდეგ წიგნის ხელმეორედ გამოცემის დროს მან დაურთო მას წინასიტყვაობა, რომელიც დაწერილია 1907 წლის ივლისში. აქ ლენინი აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივ-სამეურნეო წყობილების ანალიზი, რომელიც მოცემულია წიგნში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, დადასტურდა რევოლუციის მსვლელობაში ყველა კლასის აშკარა პოლიტიკური გამოსვლით.

მ. ვერშიკი.

◆

მუშათა კლასის შესანიშნავი მებრძოლი

ნიუ-იორკი, 9 იანვარი (საკდესი). გუშინ სან-ფრანცისკოში ჩავიდა ტომ მუნი, მისი ჩასვლისათვის ქალაქის ქუჩებში თავი მოიყარა დაახლოებით 50 ათასმა კაცმა. ქალაქში გაიმართა პროფკავშირის წევრთა მრავალათასიანი მიტინგი, რომელზედაც გამოვიდა ტომ მუნი.

საკრამენტოდან (კალიფორნიის შტატის მთავარი ქალაქი) წასვლის წინ მუნი იქ სიტყვით გამოვიდა ათიათასიან მიტინგზე. თავის სიტყვაში მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს აქტიური მონაწილეობა მიიღოს მუშათა კლასის ერთიანობისათვის ბრძოლაში, ფაშიზმის წინააღმდეგ და „ახალი, უკეთესი სოციალური წესწყობილების“ შექმნისათვის ბრძოლაში. ტომ მუნის ეს სიტყვა ტრანსლირებულ იქნა მთელს ქვეყანაში და იგი მრავალმა გაზეთმა გამოაქვეყნა.

ამერიკის შეერთებული შტატების, კანადისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების მუშათა ორგანიზაციები აღფრთოვანებით მიესალმნენ ტომ მუნის განთავისუფლებას. ამერიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ბრაუდერმა განაცხადა: „მუნის განთავისუფლება წარმოადგენს პროგრესიული დემოკრატიის დიდ გამარჯვებას რეაქციის ძალებზე. მუნი ამერიკის მუშათა კლასის შესანიშნავი მებრძოლი და საუკეთესო წარმომადგენელია“.

ტომ მუნის წინააღმდეგ გამოდის რამდენიმე ყველაზე უკიდურესი რეაქციონერი. კონგრესის წევრმა რესპუბლიკელმა ჰამილტონ ფიშმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მუნი „კომუნისტებს თანაუგრძნობს“, და მისი განთავისუფლების წინააღმდეგ გაილაშქრა.

◆

ტომ მუნი პროფესიით მსხმელია. დაპატიმრებამდე იგი აქტიურ პროფკავშირულ მუშაობას ეწეოდა სან-ფრანცისკოში, განსაკუთრებით ტრამვაელთა შორის. მსხვილი კაპიტალისტები, რომელთაც ტომ მუნი სძულდათ, რამდენიმე წლის განმავლობაში შემთხვევას ეძებდნენ, რომ გზიდან მოეშორებინათ იგი. ინსცენირებულ იქნა ორი „შეთქმულება აფეთქებით“, მაგრამ ორივე ჩაიშალა. სცადეს ტომ მუნის მეგობრების მოსყიდვა, რომ მათ გაეცათ იგი, მაგრამ არც ამან გასჭრა.

1916 წლის ივლისს სან-ფრანცისკოში პატრიოტული დემონსტრაცია გაიმართა. დაქირავებულმა პროვოკატორმა ყუმბარა ესროლა დემონსტრანტებს. ყუმბარის აფეთქების შედეგად 10 კაცი მოიკლა და მრავალი დაიჭრა. ამ აფეთქებისათვის პასუხისმგებლობა ტომ მუნის დააკისრეს, და, ამგვარად, დაიწყო მისი საქმე, რომლის მიხედვითაც მას „ბრალი დასდეს ტერორიზმში“. ტომ მუნი, მისი ცოლი და პროფკავშირთა მუშაკები ბილინგსი, ვეინბერგი და ნორმანი დააპატიმრეს. ამ საქმეზე სასამართლო გამოძიებას მსხვილ კაპიტალისტთა აგენტი პროკურორი ჩარლზ ფიკერტი აწარმოებდა. რადგან დაპატიმრებულთა წინააღმდეგ არავითარი მამხილებელი საბუთი არ იყო, ფიკერტმა შეთითხნა სან-ფრანცისკოს სისხლის სამართლის დამნაშავეთა გამონახულ „მოწმეთა“ ჩვენებანი. ამ „ჩვენებათა“ საფუძველზე იმავე 1916 წელს ინსცენირებულ იქნა მუნისა და ბილინგსის გასამართლება. ტომ მუნის სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, ხოლო ბილინგსს — სამუდამო პატიმრობა.

ტომ მუნისათვის გამოტანილმა განაჩენმა დიდი პროტესტები გამოიწვია მთელი მსოფლიოს მუშებს შორის. განსაკუთრებით გრანდიოზული იყო პეტროგრადის მუშათა დემონსტრაციები. ამ პროტესტების ზეგავლენით ამერიკის პრეზიდენტმა ვილსონმა 1918 წლის დამლევს წინადადება მისცა კალიფორნიის შტატის გუბერნატორს ტომ მუნისათვის სიკვდილით დასჯა სამუდამო პატიმრობით შეეცვალა.

ტომ მუნიმ ოცდაორნახევარი წელი გაატარა კალიფორნიის შტატის საპყრობილეში. ტომ მუნისა და ბილინგსის საქმე მთავრობის სამმა კომისიამ განიხილა და ყველამ უდანაშაულოდ სცნო ორივე. ტომ მუნიმ რამდენჯერმე მიმართა კალიფორნიის შტატის სასამართლოს და სთხოვა ხელმეორედ განეხილა მისი საქმე. მაგრამ სასამართლო ყოველთვის უარს ეუბნებოდა ამაზე. სამჯერ მიმართა ტომ მუნიმ აპელაციით ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს სასამართლოს, მაგრამ უმაღლესი სასამართლო ყოველთვის უარჰყოფდა მის აპელაციას.

მთელი რიგი წლების განმავლობაში „მოწმეებმა“, რომელნიც ტომ მუნისა და ბილინგსის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ერთიმეორეზე აღიარეს, რომ ისინი ყალბ ჩვენებას აძლევდნენ სასამართლოს. თვითონ ყოფილმა პროკურორმა, ჩარლზ ფიკერტმაც კი, რომლის მოთხოვნითაც გამოუტანეს ტომ მუნის სიკვდილის განაჩენი, 1930 წელს განაცხადა, რომ განაჩენი ყალბ ჩვენებებს ემყარებოდა. 1930 წელს სან-ფრანცისკოს ბანკირთა და მრეწველთა ჯგუფმა, რომელთა მსხვერპლიც გახდა ტომ მუნი, განთავისუფლება შესთავაზა მას, თუ იგი პირობას დასდებდა, რომ შესწყვეტდა ყოველგვარ მოქმედებას და აგიტაციას კაპიტალისტების წინააღმდეგ. ეს წინადადება ტომ მუნიმ უარჰყო.

ტომ მუნის განთავისუფლებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა კალიფორნიის შტატის მოსახლეობამ, რომელმაც თავისი ხმები მისცა გუბერნატორობის კანდიდატს, პროგრესიულ დემოკრატს ოლსონს. საარჩევნო კამპანიის დროს ოლსონმა განაცხადა, რომ იგი დარწმუნებულია ტომ მუნის უდანაშაულობაში და, როგორც კი არჩეულ იქნება გუბერნატორად, დაუყოვნებლივ გაანთავისუფლებს მას.

პატიმრობის განმავლობაში ტომ მუნიმ ურყევი მამაცობა და მუშათა კლასის ძალისადმი რწმენა გამოიჩინა. საპყრობილედან გამოსვლის შემდეგ ტომ მუნიმ განაცხადა, რომ იგი თავის დანარჩენ სიცოცხლეს „ახალი, უკეთესი სოციალური წესწყობილების“ შექმნისათვის ბრძოლას მოახმარებს.

ევროპის ქვეყნების სამხედრო-საჰაერო ძალთა შესახებ

ლონდონი, 9 იანვარი (საკდესი). გაზეთ „სენდეი ტაიმსის“ საავიაციო მიმომხილველი უარჰყოფს, როგორც „უხეშად გაზვიადებულს“, იმ ცნობებს ევროპის ქვეყნების საჰაერო ძალთა შესახებ, რომლებსაც გასავალი აქვთ ამერიკის მთავრობის წრეებში.

ამ ცნობების თანახმად, მიუნხენის შეთანხმების დადების მომენტში გერმანიას ჰქონდა 10 ათასი საბრძოლო თვითმფრინავი, იტალიას — 3.500, ინგლისს — 1.500 და საფრანგეთს — 600.

ნამდვილად კი, — ამბობს მიმომხილველი, — შემოწმებული ცნობების მიხედვით, იმ მომენტში გერმანიას ჰქონდა 3.200 თვითმფრინავი, იტალიას — 1750, ინგლისს — 2.200 და საფრანგეთს — 1.150. ამგვარად, „რომი-ბერლინის“ ღერძს ჰქონდა 4.950 თვითმფრინავი ინგლისისა და საფრანგეთის 3.350 თვითმფრინავის წინააღმდეგ (ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის გამოკლებით).

მას შემდეგ, — განაგრძობს მიმომხილველი, — ეს თანაფარდობა, საავიაციო მშენებლობის გაძლიერების მეოხებით, მნიშვნელოვნად შეიცვალა ინგლისისა და საფრანგეთის სასარგებლოდ. ინგლისი გერმანიაზე გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება როგორც ნამდვილ სამსახურში, ისე რეზერვში მყოფი პილოტების მხრივ.



თბილისი. ახალი სანაპირო ქუჩის ერთერთი კუთხე ელბაქიძის სახელობის ხიდთან.
ფოტო ო. ბუდეშტსკისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

რადიო-კონცერტები

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირს გადაწყვეტილი აქვს ხელოვნების მუშაკთა სახლში (მახარაძის, 8) სისტემატურად გამართოს რადიო კონცერტები. გადაცემული იქნება ოპერები, სიმფონიები, საკვარტეტო კონცერტები და სხვ.

პირველი რადიო კონცერტი გაიმართება 13 იანვარს, საღამოს 8-ნახევარ საათზე. პროგრამაშია ოპერა „აიდა“ მილანის თეატრის „ლასკალას“ შესრულებით.

შემდეგი კონცერტის პროგრამაა ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია.

◆

ახალი საქალაქთაშორისო მოსალაპარაკებელი სადგურები

დღემდე თბილისის მშრომელებს საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირისათვის მხოლოდ ერთი სადგური (კავშირგაბმულობის სახლი) უწევდა მომსახურებას. იმის გამო, რომ აღნიშნული სადგური ქალაქის უმეტეს რაიონებს ტერიტორიულად დაშორებულია, მისი ფართოდ გამოყენება ძნელდებოდა.

კავშირგაბმულობის სახკომატის საქართველოს რწმუნებულის სამმართველომ გადასწყვიტა ასეთი სადგურების გახსნა ქალაქის სხვა რაიონებშიც.

მოსალაპარაკებელი სადგური უკვე გახსნილია 26 კომუნარის რაიონში (შაუმიანის მოედანი, № 4).

1939 წელს საქალაქთაშორისო მოსალაპარაკებელი სადგურების გახსნა გათვალისწინებულია აგრეთვე სტალინის სახელობის რაიონში და სტუდენტთა ქალაქში (ვაკე).

ბაშკესი

ბაშკირეთი, (საქდესი). 1938 წლის 29 დეკემბერს მთავრობის კომისიამ მიიღო და მუდმივ საექსპლოატაციოდ გადასცა ბაშკირეთის ჰიდროელექტროსადგური (ბაშკესი). ეს სადგური, რომლის სიმძლავრე 600 ცხენის ძალას უდრის, ენერგიას იღებს მდინარე არმუთლიდან. იგი უკვე აძლევს დენს 18 სოფელსა და 8 სარძეო ფერმას.

◆

„კოლმეურნის ქორწინება“ ბათუმის თეატრში

ბათუმი (ტელეგ. საკ. კორ.) აჭარის სახელმწიფო თეატრი მორიგ პრემიერად ამზადებს პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინებას“.

პიესას სდგამს რეჟ. შ. ხომერიკი, სპექტაკლის გაფორმებაზე მუშაობს მხატვარი დ. თავაძე, მუსიკა ალე ფარცხალაძისა.

პრემიერა ნაჩვენები იქნება 14 იანვარს.

სპექტაკლში მონაწილეობს დასის ძირითადი შემადგენლობა.

◆



სასტუმრო „პალასის“ ხედი.
ფოტო ვ. ჩერკასოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

თვალის რთული ოპერაცია

ოდესა (საკდესი). ბრონისლავ ვავრაუკო ორი წლისა იყო, როდესაც მას რქოვანა ანთებისაგან თვალებზე ბისტი გაუჩნდა და ბავშვი დაბრმავდა. მან თექვსმეტი წელი იცხოვრა ისე, რომ სინათლეს ვერ ხედავდა. ამ მძიმე სნეულებისაგან განკურნების იმედით, მშობლებმა თავისი შვილი ოფთალმოლოგიის უკრაინის ინსტიტუტში მიიყვანეს, რომელსაც ორდენოსანი პროფესორი ვ. პ. ფილატოვი მეთაურობს.

1936 წლის ნოემბერს პროფესორმა ფილატოვმა ბრონისლავს პირველი ოპერაცია გაუკეთა — ერთი თვალის რქოვანა გადასვა. ამის შემდეგ ყმაწვილმა მალე სინათლე დაინახა. ერთი წლის შემდეგ ბრონისლავ ვავრაუკოს მეორე თვალის რქოვანა გადაუსვეს. მას მხედველობა მთლიანად დაუბრუნდა.

ახლა ის წარმატებით სწავლობს მე-5 კლასში. ამ ცოტა ხნის წინათ იგი მიიღეს ორდენოსანი პროფესორის სტოლიარსკის სახელობის საბავშვო მუსიკალურ სკოლაში. ბრონისლავი კონტრაბასის სკოლაში მეცადინეობს. მოკლე ხნის განმავლობაში მან მუსიკაში დიდი ნიჭი და წარმატება გამოიჩინა.

ცნობები რაიონებიდან

(ჩვენი საკ. კორესპონდენტებისაგან)

ზესტაფონის რაიონი

● **დაიწყო 45-ბინიანი** საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. სახლი შენდება ფეროშენადნობთა ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისათვის. იგი ოთხ-სართულიანი იქნება, მშენებლობაზე 2 მილიონი მანეთი დაიხარჯება. სახლი 1939 წლის მეოთხე კვარტალში დამთავრდება.

● **დასასრულს უახლოვდება 18 ბინიანი** სახლის მშენებლობა ბერიას ქუჩაზე, რომელიც აგრეთვე შენდება ფეროშენადნობთა ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისათვის.

● პუშკინის ქუჩაზე დაიწყება ახალი საავადმყოფოს მშენებლობა. საავადმყოფო იქნება 60-საწოლიანი. მშენებლობისათვის გათვალისწინებულია 1.600.000 მანეთი. წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა უკვე მიმდინარეობს.

მახარაძის რაიონი

● **სოფელ გომში,** მდინარე ბჟუჟზე 1938 წელს დაიწყო ელსადგურის მშენებლობა. ელსადგურის სიმძლავრე 300 ცხენის ძალისა იქნება. მშენებლობისათვის გადადებულია 500 ათასი მანეთი. ელსადგური მზად იქნება 1939 წლის ოქტომბრისათვის.

● **სოფ. შემოქმედში,** მდინარე ბჟუჟზე შენდება ხიდი, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს სოფლებს შემოქმედსა და გოგიეთს. ხიდის მშენებლობაზე იხარჯება 100.000 მანეთი. მშენებლობა წელს უნდა დამთავრდეს.

● **ქ. მახარაძეში** მთავრდება კინოთეატრის მშენებლობა, რაც 866.000 მანეთი ჯდება. თეატრი დაიტევს 600-ზე მეტ მაყურებელს.

გალის რაიონი

● **ამ დღეებში** დამთავრდება გალის ქალაქის ახალი ორსართულიანი საავადმყოფოს მშენებლობა. მას ექნება 42 ოთახი. აქედან 11 ოთახი ავადმყოფთა მოსათავსებელი იქნება, ხოლო დანარჩენებში გაანაწილებენ საოპერაციო განყოფილებას, რენტგენის კაბინეტს, აფთიაქს და სხვ.

საავადმყოფოს მშენებლობისათვის დაიხარჯება 283.000 მანეთი.

შალვა დადიანის იუბილე

საიუბილეო კომიტეტის პირველი სხდომა

მიმდინარე წლის იანვარში სრულდება სახალხო არტისტის, მწერალდრამატურგის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის **შ. ნ. დადიანის** სამწერლო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წლისთავი.

იუბილეს ჩასატარებლად მთავრობის დადგენილებით შექმნილია საიუბილეო კომიტეტი საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის ამხ. **გ. კიკნაძის** თავმჯდომარეობით.

9 იანვარს, საღამოს, ამხ. კიკნაძის თავმჯდომარეობით შესდგა საიუბილეო კომიტეტის პირველი სხდომა, რომელსაც დაესწრნენ საიუბილეო კომიტეტის წევრები: ამხ. ალ. მირცხულავა, ი. ნიკოლაძე, ალიო მაშაშვილი, ვ. ხატიაშვილი, აკ. ვასაძე, ნუცა ჩხეიძე, პროფ. კ. კეკელიძე, ს. ჩიქოვანი, ლეო ქიაჩელი და შ. რადიანი.

სხდომაზე განხილულ იქნა იუბილეს ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები.

კომიტეტმა დაადგინა შ. ნ. დადიანის იუბილე გადახდილ იქნას თბილისში ა/წ. 31 იანვარს.

ამასთან განხილულ იქნა საიუბილეო საღამოს პროგრამა. კომიტეტის გადაწყვეტილებით საიუბილეო საღამოზე პირველად მოსმენილი იქნება საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარის შესავალი სიტყვა და ამხ. შ. რადიანის მოხსენება შ. ნ. დადიანის სამწერლო საზოგადოებრივ მოღვაწეობის შესახებ. მოხსენების შემდეგ იუბილარისადმი მისასალმებელი სიტყვებით გამოვლენ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. საღამოს მხატვრულ ნაწილში რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების ძალებით ნაჩვენები იქნება თითო აქტი იუბილარის პიესებიდან.

საიუბილეო კომიტეტმა დაავალა რადიოკომიტეტს მოაწყოს საიუბილეო საღამოს რადიოტრანსლაცია.

საიუბილეო კომიტეტმა დაადგინა, იუბილესათვის გამოიცეს შ. დადიანის ვრცელი ბიოგრაფია და ღია ბარათები იუბილარის სურათით. სახელგამსა და გამომცემლობა „ფედერაციას“ დაევალათ 1939 წელს გამოსცენ შალვა დადიანის თხზულებათა კრებული.

ამასთან დადგენილ იქნა შ. დადიანის საიუბილეო საღამოები ჩატარდეს სოხუმში, ბათუმში, ზუგდიდში, თელავსა და სხვა ქალაქებში.

საიუბილეო კომიტეტმა გამოჰყო მცირე კომისია ამხ. ალიო მაშაშვილის (თავმჯდომარე) ბ. გოგუას, აკ. ვასაძის, ს. ჩიქოვანისა და ლ. ასათიანის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა საიუბილეო საღამოს დეტალური გეგმის დამუშავება.

მწერალთა მოგზაურობა აჭარაში

აჭარიდან თბილისს დაბრუნდა საქართველოს საბჭოთა მწერლების ჯგუფი, რომელიც იქ ინტელიგენციასთან შეხვედრების მოსაწყობად გაემგზავრა. ჯგუფში შედიოდნენ მწერალი - დრამატურგი შ. ნ. დადიანი, პოეტები ი. მოსაშვილი, ა. მაშაშვილი, ს. შანშიაშვილი, ს. ჩიქოვანი, კ. კალაძე და ა. ჭეიშვილი.

ბათუმში, მასწავლებლის სახლში, მწერლები შეხვდნენ მოსწავლეებსა და მშრომელ ინტელიგენციას. ინტელიგენციასთან შეხვედრა მოეწყო აგრეთვე ქობულეთშიც, სადაც თავი მოიყარეს ადგილობრივმა ინტელიგენციამ და გარშემო მდებარე სოფლების კოლმეურნეებმა, რომლებმაც 30-40 კილომეტრი გამოიარეს. მწერლები აგრეთვე ავიდნენ ქედაში, სადაც გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი, ხოლო შემდეგ საღამო-შეხვედრა კოლმეურნეთა და სოფლის ინტელიგენციის მონაწილეობით.

*

მწერალთა ჯგუფს ყველგან მხურვალე მადლობას უხდიდნენ ჩასვლისათვის. ერთსულოვნად აღნიშნავდნენ, რომ ასეთი შეხვედრები შესაძლებელია მხოლოდ ბედნიერ სტალინურ ეპოქაში, როდესაც საბჭოთა მწერლები ისე, როგორც მთელი საბჭოთა ინტელიგენცია, შეადგენენ ერთს განუყრელ მთლიანს ხალხთან, რომლიდანაც ისინი გამოვიდნენ. (საქდესი).



ა.-კ. რკინიგზის ყოფ. მთავარ სახელოსნოებში ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის წარსული რევოლუციური მოღვაწეობის აღსანიშნავად თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონ-სარემონტო ქარხნის ეზოში აღმართულია მარმარილოს ობელისკი სათანადო წარწერით.

სურათზე: ქარხნის ეზოში აღმართული ობელისკი.

ფოტო ი. ბუდეშტსკისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

თოლია სტოკჰოლმიდან

ამ რამდენიმე დღის წინათ ბათუმის რაიონში მონადირე სერგო არუთინოვმა სოფ. კახაბერის მახლობლად მოჰკლა თოლია („ჩაიკა“), რომლის ფეხზე აღმოჩნდა ალუმინის რგოლი შემდეგი წარწერით: „Returni, Rtksmuseum, T 2742, Stockholm“.

წარწერა ადასტურებს, რომ თოლია მოფრენილია შვეციიდან.

მაესტროთა სავარჯიშო ტურნირი

მეექვსე ტური

მეექვსე ტურის ყველა პარტიებში დაძაბული ბრძოლა სწარმოებდა. საბოლოოდ ირკვევა, რომ მიღებული რეგლამენტი (40 სვლა 5 საათში) ძლიერი და თანაბარი შემადგენლობით შეჯიბრებისათვის უვარგისია. პარტიების უმრავლესობა თვითეულ ტურში დაუმთავრებელი რჩება.

დღესაც საღამოს 11 საათისათვის მხოლოდ სამი პარტია დამთავრდა. ტურნირის ლიდერი სმისლოვი დამარცხდა რაგოზინთან. რაბინოვიჩმა გაიმარჯვა გოგლიძესთან. ალატორცევ—მაკაგონოვის პარტია ყაიმით დასრულდა.

მეხუთე ტურის პარტიებში რაგოზინმა მოუგო ბონდარევსკის. დაუმთავრებელ პარტიებში ლევენფიშს მოგების შანსები აქვს რომანოვსკისთან. გოგლიძე — კერესის პარტია გადაიდო თანასწორ მდგომარეობაში.

მეშვიდე ტურში თამაშობენ: ლევენფიში — ლილიენტალი, ტოლუში—კერესი, რომანოვსკი—ფლორი, რიშევსკი—რაბინოვიჩი, პანოვი — სმისლოვი, მაკაგონოვი — კანი, ბელავენეცი — ალატორცევი, რაგოზინ — კონსტანტინოპოლსკი და გოგლიძე—ბონდარევსკი.

სპორტის ქრონიკა

შერეული გუნდების შეჯიბრება

12 იანვარს ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში შესდგება ფრენბურთელთა გუნდების მეტად საინტერესო შეჯიბრება. მონაწილე გუნდების შემადგენლობაში შევა 3 კაცი და 3 ქალი. ქალვაჟთაგან შემდგარი ფრენბურთელთა გუნდების შეჯიბრება თბილისში პირველად ეწყობა.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ: სასპორტო საზოგადოება „ელვას“, „მეცნიერებას“, „ლოკომოტივის“, „მკვებავის“, სამედიცინო და ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტების შერეული გუნდები.

სპორტის ახალი სახეები

მიმდინარე წელს საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი ჩაატარებს მთელ რიგ შეჯიბრებებს სპორტის ახალ შემოღებულ სახეებში. შეჯიბრება ჩატარდება ნებისმიერ ჭიდაობაში, აკადემიურ ნიჩბოსნობაში, ბილიარდში, რეგბიში და აკრობატიკაში.

შოთა რუსთაველის სახელობის თასი

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი მიმდინარე წელს ჩაატარებს სრულიად - საქართველოს საკოლმეურნეო სპარტაკიადას, რომელზედაც გათამაშდება შოთა რუსთაველის სახელობის თასი.

ახალი მუსიკალური ნაწარმოებნი

სახელგამის მუსიკალურმა სექტორმა 1938 წლის დამლევისათვის გამოსცა კომპ. კარგარეთელის — „სიმღერა მზეთუნახავზე“, კომპ. არ. ტიგრანიანის—„სომხური ცეკვა“, პროფ. არაყიშვილის — „ცეკვა“ (ოპერა „ნესტანიდან“), კომპ. ბუკიას — „სიმღერა სტალინზე“, „ყვავილი“ და სხვ. ახალი მუსიკალური ნაწარმოებები.

მზადდება გამოსაცემად ახალი შრომები—თბილისის კონსერვატორიის ორდენოსან პროფესორ დ. არაყიშვილის „ქართული მუსიკის მოკლე მიმოხილვა“ და გ. ჩხიკვაძის „მუსიკის თეორია“.

მიღებულია აგრეთვე გამოსაცემად ზ. ფალიაშვილის — „ეთერის არია“ (ოპერა „აბესალომ და ეთერიდან“), „მაროს ტირილი“ (ოპერა „დაისიდან“), საგუნდო სიმღერა „ავთანდილ გადინადირა“ და „მალხაზის გამოსვლა“ (ოპერა „დაისიდან“).

კურორტებზე ზამთარში

1938—1939 წლის ზამთრის სეზონში, ნოემბრიდან აპრილამდე, საქართველოს კურორტებმა (აბასთუმანი, ბორჯომი, წყალტუბო, აფხაზეთი, აჭარა) 11.723 დამსვენებელი უნდა გაატარონ. ნოემბერ-დეკემბერში კურორტებზე უკვე დაისვენა 5.022 მშრომელმა, იანვრიდან აპრილამდე დაისვენებს 6694 მშრომელი.

ლექციები და მოხსენებები

● 11 იანვარს, საღამოს 7 საათზე, გლეხთა სახლში შესდგება პროფესორ **ი. ჩხიკვიშვილის** ლექცია თემაზე: „სოფლის მეურნეობისათვის სასარგებლო ფრინველები“.

● 12 იანვარს, დღის 12 საათზე, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოსასვლელი დღის უნივერსიტეტის ლექციათა ციკლიდან პროფ. **სიმონ ჯანაშია** წაიკითხავს ლექციას თემაზე: „ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობა საქართველოში“.

● 12 იანვარს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს მხატვართა კავშირის გალერიაში (რუსთაველის პროსპ., № 13) პროფ. **შ. ამირანაშვილი** წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: XI-XII საუკუნის კედლის მხატვრობის ისტორიიდან (თეოდორე მეფის მხატვარი).

დასწრება თავისუფალია.

კესხოველის სახლში

ყოველდღიურად ტარდება კონსულტაცია მარქსიზმ-ლენინიზმის, საერთაშორისო და სხვა პოლიტიკურ საკითხებზე პროპაგანდისტებისათვის, მომხსენებლებისათვის, აგიტატორებისა და იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც შეუდგნენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ დამოუკიდებლად შესწავლას.

კონსულტაცია ტარდება დღის 10-დან 4 საათამდე და საღამოს 8-დან 11 საათამდე, ქართულ და რუსულ ენებზე.

კონსულტანტთა ტელეფონები: 3—18—46 და 3—61—68.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ვ. ოთხმეზური ყრილობის დელეგატი

ქირურგთა მე-24 ყრილობის შედეგები

ამ დღეებში ქ. ხარკოვში ჩატარდა დოსტაქართა მე-24 საკავშირო ყრილობა. ამ ყრილობას მსოფლიო მნიშვნელობა ჰქონდა. ყრილობაზე თავი მოიყარა 1300 დელეგატმა, რომელთა შორის იყვნენ მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მეცნიერნი.

ყრილობის ტრიბუნიდან საბჭოთა ქირურგიის თვალსაჩინო მოღვაწეებთან ერთად მოხსენებით გამოდიოდნენ ახალგაზრდა მეცნიერები, ხასანის ტბასთან ბრძოლის მონაწილე დოსტაქრები. ეს ფაქტი ადასტურებს იმას, რომ არა მარტო ცენტრალურ სამედიცინო დაწესებულებებში იფურჩქნება სამედიცინო აზროვნება, არამედ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მთელს უზარმაზარ ტერიტორიაზეც.

ყრილობის საპროგრამო საკითხის—ჭრილობათა მკურნალობის შესახებ. პროფ. რუფანოვის (მოსკოვი) ღრმაშინაარსიანი მოხსენების შემდეგ გამოვიდა ხარკოველი დოსტაქარი, პროფ. მელნიკოვი. მან ილაპარაკა გართულებულ ჭრილობათა მკურნალობაზე.

ჭრილობათა ყველაზე უფრო სახიფათო გართულება არის გაზოვანი განგრენა; ის წარმოიშობა ჭრილობაში თავისებური ბაქტერიების შეჭრით. ეს იწვევს ქსოვილების სწრაფ სიკვდილს, ლპობით პროცესს და კანქვეშ გაზის წარმოშობას. ეს გართულება ხშირად ღუპავს დაჭრილს. საბჭოთა დოსტაქრებმა ნაადრევი დიაგნოსტიკით (პროფ. მელნიკოვი), სპეციალური შრატის გამოყენებით მიაღწიეს იმას, რომ სიკვდილიანობა გაზოვანი განგრენისაგან 25-ჯერ შემცირდა.

მეტად საინტერესო მოხსენება გააკეთა ხასანის ტბის რაიონში ბრძოლების მონაწილე ორდენოსანმა პროფესორმა ახუტინმა. ხასანის ტბასთან საბჭოთა დოსტაქრებმა გვიჩვენეს მუშაობის შესანიშნავი ნიმუშები, საქმიო დახმარების სწორი და ზუსტი ორგანიზაციით დაჭრილ მებრძოლთა 90 პროცენტი დაუბრუნდა მწყობრს, ჩვენმა დოსტაქრებმა დაჭრილთა უმრავლესობა განკურნეს.

სიდამწვრეთა მკურნალობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფ. ჯანელიძე (ლენინგრადი). მან წარმოადგინა ლენინგრადის კლინიკებსა და საავადმყოფოების კლინიკების მდიდარი მასალა, დამყარებული 660 დაკვირვებაზე.

დამწვრებისათვის პირველი დახმარების აღმოჩენის დროს საჭიროა თავი შევიკავოთ სიდამწვრის ადგილას რაიმე სამკურნალო საშუალების, განსაკუთრებით ცხიმის შემცველი ნივთიერების გამოყენებისაგან. დამწვარი მიდამო სტერილურ ზეწარში ან პირსახოცში უნდა გავახვიოთ, კანქვეშ მორფიუმი შევუშხაპუნოთ, თბილად შევხვიოთ და გავგზავნოთ სტაციონარში.

მომხსენებელმა დიდი ყურადღება მიაქცია ომიანობის დროს სიდამწვრეების მკურნალობას.

მოყინვისა და მისი მკურნალობის შესახებ მოხსენება გააკეთა ორდენოსანმა პროფესორმა გირგოლავმა (ლენინგრადი). მომხსენებელმა მოიყვანა ახალი მონაცემები მოყინვის პათოგენეზის შესახებ. ძირითად მომენტს წარმოადგენს უჯრედთა სიკვდილი. ქსოვილებიდან ყველაზე უფრო ზიანდება სისხლის ძარღვების და ნერვების გარშემო მოთავსებული ქსოვილები. სიცივის მოქმედება დამოკიდებულია არა მარტო ტემპერატურაზე, არამედ გაცივების, მოყინვის მოქმედების დროზე, ვიწრო ფეხსაცმელზე და აგრეთვე კიდურების სისველის ხარისხზე. მკურნალობის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დროზე აღვადგინოთ ტემპერატურა და სისხლის მიმოქცევა დაზიანებულ კიდურზე.

პროფესორმა ვორინევსკაიამ (მოსკოვი) ქვემო კიდურების ძვლების და სახსრების ღია დაზიანების წარმატებით მკურნალობისათვის ძირითად ფაქტორად ჩასთვალა ჭრილობების პირველადად დამუშავება პირველი ექვსი საათის განმავლობაში უბედური შემთხვევის შემდეგ.

ქირურგთა ყრილობას მიესალმა ხარკოვის სამხედრო ოლქის მებრძოლთა დელეგაცია. დელეგაციამ ყრილობის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა სამხედრო-საველე ქირურგიის განვითარების საკითხებზე.

კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის ოპერაციებთან დაკავშირებულ დაავადებებზე მოხსენებები გააკეთეს პროფესორებმა იუდინმა (მოსკოვი) და გალპერინმა (დნეპროპეტროვსკი). პროფ. იუდინმა მდიდარი მასალის საფუძველზე აღნიშნა გართულებათა მიზეზები, რომლებიც გვხვდება კუჭზე ოპერაციების შემდეგ. მომხსენებელი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ უკეთესი შედეგები და გართულებათა ნაკლები რიცხვი აღინიშნება კუჭის დაავადებული ნაწილის მთლიანად ამოკვეთის შემდეგ. პროფ. გალპერინის აზრით კუჭზე ოპერაციის შემდეგ გართულებები დამოკიდებულია იმაზე, რომ ხშირად თერაპევტები და ქირურგები ზუსტ ჩვენებებს არ აყენებენ კუჭში ოპერატიული ჩარევისათვის. ზოგიერთი კლინიკა, მისდევს რა კუჭზე ოპერაციების დიდ ციფრებს, ხელმძღვანელობს არა საქმიო, არამედ ტექნიკური ჩვენებებით.

ყრილობამ მოისმინა მრავალი საინტერესო მოხსენება ქირურგიის აქტუალურ საკითხებზე, მუცლის და გულმკერდის ღრუს ორგანოების და კიდურების დაავადების შესახებ. ამ მოხსენებებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა პროფ. ბოგორაზის მოხსენება, რომელიც ეხებოდა მამაკაცის სასქესო ორგანოს აღდგენა-პლასტიკას. მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფ. ბოგორაზმა (როსტოვი) სამი წლის წინათ გამოაქვეყნა მამაკაცის სასქესო ორგანოს პლასტიკური აღდგენის ოპერატიული მეთოდი. ეს განსაკუთრებით საინტერესო ოპერაციაა, ასეთი ოპერაცია მსოფლიო ქირურგიის ისტორიაში პირველად არის წარმოებული. პროფ. ბოგორაზმა გამოიკვლია სამი წლის წინათ ოპერაციაგაკეთებული ავადმყოფი, რომელიც სავსებით ჯანმრთელია, მას დაუბრუნდა არა მარტო სქესობრივი აქტის შესრულების უნარი, არამედ განაყოფიერების უნარიც, მისმა ცოლმა შობა სავსებით ნორმალური ბავშვი. პროფ. ბოგორაზმა გააკეთა 16 ასეთი ოპერაცია.

დოსტაქართა საკავშირო ყრილობამ, შეაჯამა რა საბჭოთა ქირურგიის შესანიშნავი მიღწევები, ნათლად გვიჩვენა ის უდიდესი შესაძლებლობანი და გზები, რომელიც პარტიამ და ხელისუფლებამ შეჰქმნეს ჩვენში როგორც ქირურგიის, ისე მეცნიერების სხვა მოწინავე დარგების განვითარებისათვის.

◆

რუსთაველის სახელობის
ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი

11/I	წარმოდგენა 94 ოთელო
12/I	წარმოდგენა 95 ნაპერწკლიდან
14/I	წარმოდგენა 96 ფოლადაური

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან
საღამოს 9 საათამდე
დასაწყისი საღამოს 8 ს.

მარჯანიშვილის სახელობის
სახელმწიფო თეატრი

11/I	შური
12/I	სამანიშვილის დედინაცვალი
14/I	ნაპერწკლიდან

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან
საღამოს 9 საათამდე
დასაწყისი საღამოს 8 ს.

უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა
მოსამზადებელი კურსები
ხსნის ახალ ჯგუფს.
აქვე გაიხსნა საშუალო და არასრული საშუალო სკოლის დასამთავრებელი საექსტერნო კურსები.
მსმენელთა მიღება საღ. 6 საათიდან, საბჭოს ქ. № 75, მე-29 სკოლა, 2 სართული. 100

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის
ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი.

11/I	12/I	12/I
მუდმ. ადგ ტალ. № 70 აბ. სერ. № 4 კარმენი	მუდმ. ადგ. ტალ. № 71 ქეთო და კოტე	დაისი დასაწყისი დღის 12 საათზე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის
ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი
13 იანვრიდან აწარმოებს მუდმივი ადგილების
ტალონების გაცემას
(მე-3 შეძოსატანი აუცილებელია)
ტალონების მიღების დროს საჭიროა მინდობილობა. 2—2 8

სახცირკი, ტელ. 3-11-44 დღეს
განახლებული მრავალფეროვანი პროგრამა.
ახალი გასტროლიორები: არტ. ნიკიტინა, არტ. სამსონოვები,
არტ. საზონოვები და სხვ. პირველი პროგრამის უკანასკნელი
დეკადა. პოპულ. არტ. ვლადიმერ დუროვი. მხეცები, ცხოველები,
ფრინველები. სპილო, ზღვის ლომები.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. სალარო 12-დან 2 საათამდე და 5 საათიდან.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1939 წ. 11 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად რ. ნ. გოლოვატი დაიცავს დისერტაციას თემაზე: „К вопросу о реактивной способности твердого топлива и методах ее определения“.
ოფიციალური ოპონენტები: პროფ. მ. ბექაია და დოც. ვ. კოკოჩაშვილი.
თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
40 უნივერსიტეტის რექტორი დ. ყიფშიძე.

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34 ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04 ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი: კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული დ—1452